ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 სექტემბერი პარასკევი 2013
№222 (14 138) ფასი 80 თეთრი



# 0:3

## კოშმარული საღამო მესტალიაზე

↳9



## ხიზანიშვილს თამაში რომ არ შეეძლოს, კლუბშიც არ ათამაშებდნენ

ინტერვიუ ოთარ გაბელიასთან

↳2



## კანკავას და გრიგალავას მოუმატეს, ელგუჯა მოთას მიუახლოვდა

სატრანსფერო ბაზარი

↳3



## ფავორიტები დამაჯერებლად იგებენ

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

↳13



↳16

## პირველად, 1995 წლის შემდეგ

EuroBasket SLOVENIA 2013

ნახევარფინალი დაკომპლექტდა

# ყოჩაღ, შერმადინი!



საქართველოს ნაკრების ცენტრმა გიორგი შერმადინმა ესპანურ „სარაგოსაში“ სადებიუტო შეხვედრა ეფექტურად ჩაატარა. მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 20 წუთში 21 ქულა, 4 მოხსნა და თითო ჩაჭრა და პასი მოაგროვა. თავად „სარაგოსამ“ კი, დიდწილად შერმადინის ეფექტური გარჯის წყალობით, ფრანგულ „ტარბთან“ საკონტროლო შეხვედრა 89:83 მოიგო.



## პრობლემა

↳2

გვალიასთვის კარი დაკეტილია



## ჩემპიონთა ლიგის პლაკატი-კალენდარი ისევ გაყიდვაშია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტის აზრი

# ოთარ გაბელია: ხიზანიშვილს თამაში რომ არ შეეძლოს, კლუბშიც არ ათამაშებდნენ


ოთარ გაბელია

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მეკარე ოთარ გაბელია ფეხბურთელობის მერე მწვრთნელი გახდა და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის არაერთი გუნდი გაუწვრთნია, წლების განმავლობაში მუშაობდა ქვეყნის მთავარ გუნდშიც, სადაც მეკარეებს ავარჯიშებდა.

გაბელიას განწრთნილი გუნდები სწორი, დალაგებული თამაშით გამოირჩეოდნენ. ისეც მომხდარა, რომ იმ გუნდებში სტაბილური ფინანსური მდგომარეობა არ ყოფილა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რიგიანი შედეგი ჰქონდა.

ბოლოს გაბელია „ზუგდიდში“ მუშაობდა და, ალბათ, მალე ვიხილავთ სხვა გუნდში, მანამდე კი ბატონი ოთარი „ლელოს“ კითხვებს პასუხობს.

**- ბოლო პერიოდში რომელიმე გუნდიდან მიწვევა ხომ არ გქონიათ?**

- ჯერჯერობით, სამწვრთნელო საქმიანობისგან ვისვენებ. გამოჩნდა ირანის ვარიანტი, ერთ-ერთი იქაური გუნდი უნდა ჩამებარებინა, დოკუმენტაციაც გავგზავნე, თუმცა საქმე ამის იქით ჯერ არ წასულა და ვნახოთ, რა იქნება.

**- ალბათ, უყურეთ საქართველოს ნაკრების თამაშს საფრანგეთთან და ფინეთთან. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგად ითამაშა საფრანგეთთან, ფინეთთან კი სასურველ შედეგს რომ ვერ მივაღწიეთ, ყველანი გულდაწყვეტილები ვართ. მესამე ადგილზე გასვლა გვინდოდა და არ გამოვიდა. ვფიქრობ, საფრანგეთთან მატჩის შემდეგ ჩვენმა ფეხბურთელებმა ძალების უცბად აღდგენა ვერ მოახერხეს და ამან მნიშვნელოვნად იმოქმედა შედეგზე. დასამალი არ არის, რომ ფინეთთან მეც მოგებას ველოდი, მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ არის.

**- ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები კარგად რომ ვერ გამოვიდა, ამას რას დააბრალებდით?**

- ჩვენი ფეხბურთელების უთამაშებლობა თავიანთ კლუბებში ნაკრებისთვის პრობლემას წარმოადგენს. როცა ზედიზედ 3-4 მატჩს ვერ თამაშობ ძირითადში, რამდენიმედღიან სანაკრებო შეკრებაზე ძნელია ამ ყველაფრის კომპენსირება. ასეთ დროს შესაძლებელია, რომ ნაკრებმა ერთი-ორი მატჩი კარგად ჩაატაროს შესარჩევში, მაგრამ საბოლოო შედეგის მიღწევა, უთამაშებელი ფეხბურთელებით, ძალიან რთულია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაკრები სულ სხვა დონეა, სულ სხვა მოწინაალმდეგესთან გიწევს თამაში.

**- ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების რომელ მოთამაშეებს გამოარჩევდით?**

- ცალკეულ მატჩებში იყო გამონათებები. კმაყოფილი დავრჩი საქართველოს ნაკრების მეკარეებით.

**- მეკარეების გარდა ვერავის გამოარჩევდით?**

- ძნელია, ვინმეს გამორჩევა. რამდენიმე შეხვედრაში თორნიკე ოქრიაშვილი იყო გამორჩეული, ბელარუსთან ეფექტური გოლიც გაიტანა... ვფიქრობ, ოქრიაშვილსა და ნაკრების სხვა ფეხბურთელებს უფრო მეტიც შეუძლიათ.

**- ზურაბ ხიზანიშვილი ნაკრებიდან წავიდა - როგორ ფიქრობთ, ის აღარ სჭირდება საქართველოს ნაკრებს? აღარ შეუძლია სანაკრებო დონეზე თამაში?**

- ხიზანიშვილს თამაში რომ აღარ შეეძლოს, მაშინ კლუბშიც არ ათამაშებდნენ. 38-40 წლის ფეხბურთელები თამაშობენ ნაკრებში და მხოლოდ ასაკის მიხედვით არ უნდა ვიმსჯელოთ. ჩვენ ისე არ გაქვს საქმე, რომ ნაკრების კანდიდატთა სიაში 40-50 ფეხბურთელი გვყავდეს. ერთი სიტყვით, ამ კითხვაზე კატეგორიული პასუხის გაცემას მოვერიდები.

**- ნუკრი რევიშვილზეც გკითხავთ. ფინეთის ნაკრებთან მის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- რევიშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, გორის „დილაში“ რომ მივიდა, მეკარისთვის სათამაშო პრაქტიკა ხომ უაღრესად აუცილებელია. ევროპალიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე მან ძალიან კარგად ითამაშა, რაც შეეხება ფინეთთან შეხვედრას, ერთ შეცდომას თუ არ ჩავთვლით, მთლიანობაში კარგად ითამაშა, ორი-სამი ისეთი მომენტი განმუხტა, გუნდი გოლისგან რომ იხსნა. საფრანგეთთან გიორგი ლორიამ ძალიან კარგად რომ ითამაშა, ამის მერე, რამდენიმე დღეში, მას სხვა მეკარე რომ შეცვლის, ეს არცთუ პატარა ფსიქოლოგიური ტვირთია. ასეთი წნეხის ქვეშ ნებისმიერი მაღალი დონის მეკარე მოექცეოდა.

**- ახალგაზრდა ქართველ მეკარეებზე რას გვეტყოდით?**

- ლორიასა და რევიშვილის გარდა, გვყავს როინ კვასხვაძე და ომარ მიგინეიშვილი. რაც შეეხება ახალგაზრდებს, აქ გაბრიელ თებიძეს გამოვყოფდი, რომელმაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში გამოიჩინა თავი, არიან სხვა ნიჭიერი მეკარეებიც, თუმცა ეროვნულ ნაკრებში თამაში მათთვის ჯერ ადრეა, მთავარია, ერთ ადგილზე არ გაჩერდნენ.

**- ბოლოს მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატზეც გკითხავთ. რა ტენდენციებს ამჩნევთ?**

- სოლიდური გუნდია „დინამო“, თუმცა ვისურვებდი, რომ უკეთესი იყოს. ჯერჯერობით, სტაბილურობა აკლია „ზესტაფონს“. ნორმალური გუნდი ჩანს „მეტალურგი“, იგივე უნდა ითქვას „ჩიხურაზეც“, ახალგაზრდული „ტორპედო“ რამდენად სტაბილურად გააგრძელებს ჩემპიონატს, ახლა გამოჩნდება. „დილამ“ როგორც ითამაშა ევროსარბიელზე, ყველამ ვნახეთ. მე მაინც მგონია, რომ საშუალო-ევროპული დონის გუნდებთან ქართველებს შეუძლიათ თამაში, თუ იქნება დაცული სათამაშო დისციპლინა, თუ ექნებათ სათანადო ფიზიკური მომზადება და თუ ითამაშებენ სწორ ფეხბურთს. რა თქმა უნდა, საშუალო-ევროპული დონის გუნდებში „ტოტენჰემს“ არ ვგულისხმობ...

**დავით თავართქილაძე**

პრობლემა

# გვალიასთვის რუსეთი დაკეტილია

**საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატი, გორის „დილას“ ყოფილი საყრდენი ნახევარმცველი ლაშა გვალია რუსეთში სატრანსფერო პერიოდის დასრულების წინადღეს, 30 აგვისტოს გაემგზავრა, 31 აგვისტოს კი ეკატერინბურგის „ურალთან“ გააფორმა კონტრაქტი და 30-ნომრიანი მაისურაც მიიღო.**

მალევე, **ლაშა გვალია** საქართველოში დაბრუნდა, რუსეთში შრომის უფლების მისაღებად, თუმცა პასუხი დღემდე არ აღირსეს. „ურალის“ პრეზიდენტმა **გრიგორი ივანოვმა** „სოვეტსკი სპორტთან“ ინტერვიუში კენჭი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით ისროლა:

*„ქართველი ფეხბურთელის გამო პრობლემები შეგვექმნა. უკვე თვე-ნახევარია, ლაშა გვალიას დამატებას ვერ ვახერხებთ. ფედერალურმა საემიგრაციო სამსახურმა მას რუსეთში მუშაობისა და თამაშის უფლება მისცა, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში შესვლის ნებას არ რთავს. პრობლემა ისაა, რომ რუსეთს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს. ჩვენ საქართველოში შეგვიძლია მშვიდად და უვიზოდ შევიდეთ, ისინი კი ჩვენთან ვერ მოდიან. ახლახან, ქართველებს ღვინის შემოტანის ნება დართეს, მაგრამ ფეხბურთელებს შემოსვლა არ შეუძლიათ. ლაშას ამბავზეც ჯერ ვერაფერს ვახერხებთ. არადა, კონტრაქტს რომ ვაფორმებდით, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ იყო შესაძლებელი“.*

საქმე ისაა, რომ გუნდს ბევრი ტრავმირებული ცენტრალური ნახევარმცველი ჰყავს, რის გამოც „ურალს“ მოედნის ცენტრში სერიოზული პრობლემები შეექმნა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ ვასილენკომ** თქვა, რომ გვალია სწორედ ამ პოზიციის გასაძლიერებლად სჭირდებოდა. ქართველის ტრანსფერით კმაყოფილება „ურალის“ პრეზიდენტმაც გამოხატა:

*„მიმაჩნია, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა ჩინებულად გამოვიყენეთ. გვალიაზე დასაკვირვებლად საქართველოშიც ვიყავით და ვენაშიც - „რაპიდი“-„დილას“ თამაშზე. ის ძალიან სოლიდური ნახევარმცველია, ბევრს მოძრაობს და თვალებანთებული თამაშობს. ეტყობა, რომ ფეხბურთი სწყურია. მაგრამ ჯერ ვერ ვათამაშებთ და არ ვიცი, პრობლემა როგორ მოგვარდება“,* - ამბობს გრიგორი ივანოვი.


ლაშა გვალია

ლაშა დღემდე საქართველოშია, ოღონდ, ახლა უფრო იმედიანადაა. 21 წლის ფეხბურთელს სჯერა, რომ სავიზო პრობლემები დროულად მოგვარდება:

*„როგორც მითხრეს, რუსეთში გამგზავრებას ერთ კვირაში შევძლებ. სიმართლე გითხრათ, ვიზის დაგვიანება, გარკვეულწილად, კარგიც იყო, რადგან ბოლოს „დილაში“ ტრავმით ვთამაშობდი და ეს სამი კვირა სამკურნალოდ გამოვიყენე. ახლა თავს უკვე კარგად ვგრძნობ და იმედია, რუსეთის პრემიერლიგაში სადებიუტო შეხვედრას მალე ჩავატარებ“.*

გვალიამ „ურალთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რუსეთის 16-გუნდიან პრემიერლიგაში 8 ტური ჩატარდა. „ურალი“ 5 ქულით მე-13 ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ წლების განმავლობაში, რუსეთში ანალოგიური პრობლემები შეექმნათ **გოჩა ხოჯავას, დავით მუჯირს, გოგიტა გოგუას, ნუკრი რევიშვილს, დავით სირაძეს** და ლამის ყველას, ვისაც კი რუსეთში უთამაშია.

მაგრამ გამორჩეული მაინც **იური მამინაშვილის** ისტორიაა. თბილისისა და ბათუმის „დინამოს“ ყოფილი მეკარე კარიერის დასრულების შემდეგაც ფეხბურთში დარჩა და თავისი განხრით საკმაოდ წარმატებული მწვრთნელიც გახდა. ამ როლში ჯერ ბათუმის „დინამოში“ იმუშავა, შემდეგ კი - უკრაინულ პრემიერლიგაში მოასპარეზე სიმფეროპოლის „ტავრიაშიც“ საქმიანობდა. სწორედ იქიდან მიიწვიეს რუსეთის პირველი ლიგის ნოვოკუზნეცკის „მეტალურგკუზბასში“, და ეს იმ დროს, როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები აირია. მამინაშვილს კი „მეტალურგ-კუზბასის“ სპორტული დირექტორის პოსტი შესთავაზეს.

ბატონი იური საქართველოში დაბრუნდა, რათა რუსეთში მუშაობის უფლება კიდევ ერთხელ მიეღო, თუმცა... მას შემდეგ ის ნოვოკუზნეცკში არავის უნახავს. ერთწლიანი უშედეგო ლოდინის შემდეგ, მამინაშვილი კლუბს დაუკავშირდა, ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და პრობლემებიდან გამომდინარე, თანამდებობაზე უარი თქვა - რუსეთში ჩასვლის უფლებას არ მაძლევენ და ტყუილად ნუ მელოდებითო.

ამის საპირისპირო მაგალითია იმავე პერიოდში ასევე გორის „დილადან“ ევროკავშირის წევრ ხორვატიაში გადასული **გიორგი ილურიძის** ამბავი. ის სპლიტის „ჰაიდუკს“ უკვე შეუერთდა და სადებიუტო შეხვედრაც ჩაატარა...

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

## შახოვმა დინამო დატოვა


სანდრო შახოვი

როგორც თბილისის „დინამოს“ ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, **სანდრო შახოვმა** კლუბის დირექტორის თანამდებობა დატოვა. გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შეთანხმება „დინამოს“ პრეზიდენტ **რომან ფიფიასა** და თავად შახოვს შორის. ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ „დინამო“ მადლობა უხდის აწ უკვე გადამდგარ დირექტორს გაწეული სამუშაოსთვის. რაც შეეხება შახოვის შემცვლელს, „დინამომ“ ის გუშინვე დაასახელა - **მამუკა მახათაძე**.

*„დირექტორის მოვალეობას ბატონი მამუკა მახათაძე შეასრულებს. წარმატებებს ვუსურვებთ მას საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე“,* - წერს „დინამოს“ ოფიციალური ვებგვერდი.

ლეგიონერი

## დაინტერესებაც არის და მოლაპარაკებაც

**მურთაზ დაუშვილსა** და ლვოვის „კარპატის“ შორის დაძაბული ურთიერთობა რომაა, არახალია. უარესი პირობებით ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარის გამო, გუნდის სხვა 18 მოთამაშესთან ერთად, დაუშვილიც ტრანსფერზე დააყენეს და გაყიდვამდე დუბლებში გადაისროლეს.

მაგრამ უკრაინულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ლვოველებმა საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანეს და 88-ნომრიანი მაისურაც დაუბრუნეს.

„ლელოსთან“ კომენტარში დაუშვილმა უარყო ინფორმაცია, თითქოს „კარპატისთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, თუმცალა უკრაინაში დაბრუნება და კლუბთან ურთიერთობის მოგვარების მცდელობა დაადასტურა.

ამ საკითხზე კომენტარი „კარპატის“ მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ სევიდოვმაც** გააკეთა, როცა ჰკითხეს - განაცხადში შეყვანილი ოთხი „ამბოხებულიდან“ ვისი დახმარების იმედი ჰქონდა.

*„როცა რომელიმე მათგანი საერთო ჯგუფში ვარჯიშს დაიწყებს, ამ თემაზე მაშინ ვილაპარაკოთ“,* - ამბობს სევიდოვი, რითიც მიანიშნებს, რომ „ამბოხებულთა“ საქმე მისი გადასაწყვეტი არ არის.

თუმცა ჯერაც უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას დაუშვილი, რადგან „ლელოსთან“ ინტერვიუში თქვა, რომ შესაძლო ტრანსფერზე უკრაინელებს ელაპარაკა და ახლა ეძებს კლუბს, რომელიც „კარპატისთვის“ მეტ-ნაკლებად მისაღებ თანხას (სავარაუდოდ, ნახევარ მილიონ დოლარს) გადაიხდის. დაუშვილმა არ დამალა, რომ ერთ-ერთი კლუბი დაინტერესებულია და მასთან მოლაპარაკებაც აქვს, თუმცა ამ კლუბის სახელს ჯერ არ აკონკრეტებს.

**მერაბ მამულაშვილი**


მურთაზ დაუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

# წილი ნაყარია

**გუშინ** საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების 1/8 ფინალის წილისყრა გაიმართა. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**ტორპედო-სპარტაკი**
**ლოკომოტივი-ჩიხურა**
**შუქურა-ვიტ ჯორჯია**
**კოლხეთი (ხ)-დინამო (თბ)**
**მეტალურგი-კოლხეთი (ფ)**
**სიონი-ზესტაფონი**
**დილა-დინამო (ბთ)**
**გურია-მერანი**

პირველი მატჩები 25 და 26 სექტემბერს გაიმართება, საპასუხო - 30 და 31 ოქტომბერს. თუ ხობის „კოლხეთისა" და თბილისის „დინამოს" დაპირისპირებას გამოვრიცხავთ, ყველა წყვილში საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი.

„ლოკომოტივის" საუკეთესო ფეხბურთელები საამსეზონოდ ქუთაისის „ტორპედოში" გადავიდნენ და, ალბათ, „ჩიხურას" არ გაუჭირდება ამ პირველლიგელის დამარცხება.




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

„ვიტ ჯორჯიას" იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის ქობულეთში - პირველლიგელი „შუქურა" ხელწამოსაკრავი გუნდი არ უნდა იყოს. ვიტჯორჯიელთა მსგავსად, „შუქურაც" ხელოვნურ საფარზე ვარჯიშობს და თამაშობს, ანუ, ორივე გუნდი ამ მხრივ თანაბარ პირობებში იქნება.

ფოთელებთან შეხლაში ფავორიტი „მეტალურგია", გორის „დილასაც" მეოთხედფინალში გასვლის უკეთესი შანსი აქვს, ვიდრე ბათუმის „დინამოს", მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სათასო ბატალიებში პირველლიგელები ძალიან შლეგად იბრძვიან.

„ზესტაფონი" ჩემპიონობას კი უმიზნებს, მაგრამ სეზონი ცუდად დაიწყო, გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა და არ არის გამორიცხული, სეზონის მეორე ეტაპზე აქცენტი თასზე გადაიტანოს. „ზესტაფონი"-"სიონის" დაპირისპირებაშიც ფავორიტი იმერული გუნდი უნდა იყოს.

„ტორპედო"-"სპარტაკი" და „გურია"-"მერანი" - ეს ის შემთხვევაა, როცა პროგნოზები ძალიან ძნელი საქმეა.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# რატომ არავის აინტერესებს პერტია?

## კლიმიაშვილი სკონტოთი კმაყოფილია

**ირაკლი კლიმიაშვილი** ლატვიაში თამაშობს. 25 წლის ნახევარმცველმა თავის კარიერაში მეხუთე კლუბის მაისურა ივნისში მოირგო - „ვიტ ჯორჯიას", ტაშკენტის „ფახთაქორის", გორის „დილასა" და ბოლნისის „სიონის" მერე, რიგის „სკონტოში" ჩაირიცხა. მართალია, 2011 წელს მახაჩყალის „ანჟიში" გამოჩნდა, მაგრამ ამ გუნდის ფორმით მხოლოდ საკონტროლო შეხვედრები ჩაატარა.

კლიმიაშვილი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 5 შეხვედრა აქვს ჩატარებული, რიგაში ივნისში გაემგზავრა და ამ ბალტიისპირული ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა:



ირაკლი კლიმიაშვილი

*„ლატვიაში იმიტომ წამოვედი, რომ ეს ნაღდი ვარიანტი იყო და უკეთესის ძებნა აღარ მიცდია. გადამწყვეტი ფაქტორი ის იყო, რომ „სკონტოს" პრეზიდენტი ვლადიმირ კალისნიჩენკო კარგად მიცნობდა - ოდესის „ჩერნომორეცში" სინჯების დროს შეკრებაზე ერთად ვიყავით. მერე კარიერა დაასრულა და კლუბის პრეზიდენტი გახდა. დამიკავშირდა, ჩასვლა შემომთავაზა და მალევე შევთანხმდით. ისიც მახარებდა, გუნდს ქართველი მწვრთნელი თამაზ პერტია რომ წვრთნიდა".*

კლიმიაშვილმა „სკონტოს" ფორმით უკვე 9 მატჩი ჩაატარა და თავი ერთი გოლით გამოიჩინა. ის ტრანსფერით კმაყოფილია:

*„შესაძლოა, ლატვიის ჩემპიონატი ამჟამად მაღალი დონის არ არის, მაგრამ ძალიან კარგ კლუბში მოვხვდი. ჯერ ერთი, მშვენიერი სავარჯიშო პირობები გვაქვს და თუ გაზრდა და წინსვლა გსურს, ამას აუცილებლად მოახერხებ. მეორე ფაქტორი ისაა, რომ აქაური ჩემპიონატის შეხვედრებს ბევრი სელექციონერი ესწრება და თავს თუ გამოიჩენ, პოლონეთის ან რუსეთ-უკრაინის ლიგაში გზა ხსნილი გაქვს. 20 ტურის შემდეგ, „სკონტომ" ლატვიის ჩემპიონატში 50 ქულა დააგროვა, პირველ ადგილზე ვართ და კონკურენტ „ვენტსპილსს" მთელი 8 ქულით უსწრებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ 58 გოლი გავიტანეთ და სულ 5 გავუშვით. რამდენი თამაში მოგვიგია 8:1, 7:1, 5:0 და ასეთი ანგარიშებით. თამაშის შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში, ბურთის ფლობის 80-პროცენტიანი მაჩვენებელი გვაქვს. „სკონტო" ლატვიაში იმდენად გამორჩეულ ფეხბურთს თამაშობს, მეეჭვება, „ვენტსპილსი" ჩემპიონობაში შეგვეცილოს".*

კლიმიაშვილი თამაზ პერტიაზეც ლაპარაკობს: *„საერთოდ, მწვრთნელზე ლაპარაკი უხერხულია და არასოდეს არც ერთი მათგანი არ დამიხასიათებია. მაგრამ ქართულ ფეხბურთზე გული შემტკივა და ვალდებული ვარ, ეს ვთქვა - თამაზ პერტიას საქართველოში კარგად არ იცნობენ და აქ ჩამოსვლამდე მეც მხოლოდ მისი გვარი მქონდა გაგებული, თორემ ურთიერთობა არასოდეს მქონია. როგორც ყველა გულშემატკივარმა, მეც მარტო ისე ვიცოდი, რომ ლატვიაში მუშაობდა ქართველი სპეციალისტი, რომელიც ჯერ ამ ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად დაასახელეს, შემდეგ კი საერთოდ - საუკეთესოდ. მასთან ხანმოკლე მუშაობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ძალიან კარგი სპეციალისტია, რამდენიმე სერიოზული სასწავლო კურსი გაიარა, ხანგრძლივი პერიოდით კოვერჩიანოშიც იმყოფებოდა და თუ დამიჯერებთ, საქართველო ძალიან ბევრს აგებს, ასეთ წარმატებულ მწვრთნელს რომ ვერ იყენებს. თავის დროზე, „სკონტო" ყველასგან გამორჩეული ლატვიური კლუბი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში. მაგრამ სანამ პერტია გუნდს ჩაიბარებდა, სამი წლის განმავლობაში „სკონტოს" ჩავარდნა ჰქონდა. ახლა კი, როგორც გითხარით, ლატვიაში კვლავ წარმატებული გუნდია და ყველასგან განსხვავებულ, ლამაზ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. 90 წუთის განმავლობაში პრესინგს მივმართავთ, რადგან გუნდი ფიზიკურად ძალიან კარგად არის მომზადებული".*

კლიმიაშვილი სკონტოელ ქართველებზეც გვიყვება: *„ქართველების მიმართ კლუბში გამორჩეული დამოკიდებულებაა და ეს უკვე ტრადიციად იქცა. ახლაც, „სკონტოში" ხუთნი ვართ - მწვრთნელი და ოთხი ფეხბურთელი. ლაშა დვალმა ძალიან კარგად დაიწყო თამაში, მაგრამ ტრავმამ გააჩერა და მკურნალობს. ლადო დათუნაშვილი საკმაოდ გამოცდილი მცველია, ლევან ქაჯაიაშვილი შემტევი ნახევარმცველია და მასაც დიდ იმედებს უკავშირებენ".*

**მერაბ მამულაშვილი**

სატრანსფერო ბაზარი

# კანკავა და გრიგალავა გაძვირდნენ, ელგუჯა შოთას უახლოვდება

**გერმანულმა** სამენეჯერო სააგენტო „ტრანსფერმარკტმა" რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის ფასი შეცვალა - ზოგის გაიზარდა, ზოგისაც შემცირდა. დავიწყოთ კლუბებით: ევროპალიგის პლეი-ოფში გასული გორის „დილას" რამდენიმე მოთამაშე უფრო დაფასდა. ლამის სამმაგი ფასი დაედოთ 21 წლის ნახევარმცველ **ლაშა გვალიას**, რომლის ტრანსფერს 175 ათას ევროდ აფასებდნენ, ახლა კი, რუსეთის პრემიერლიგის „ურალში" ჩარიცხვის შემდეგ უკვე 400 ათასი „ღირს".

ასევე მოხდა **გიორგი ილურიძის** შემთხვევაშიც, რომელიც სპლიტის „ჰაიდუკში" გადავიდა - აგვისტოში 20 წლის შემტევის ტრანსფერს 125 ათასად აფასებდნენ, ახლა მას გრაფაში 450 ათასი ევრო წერია.

ევროტურნირებმა კარგი გარჯა გორელთა მეკარეს, საქართველოს ნაკრების კარის დარაჯს, **ნუკრი რევიშვილსაც** დაუფასა: რუსეთის პრემიერლიგის „კრასნოდარიდან" წამოსვლის შემდეგ მისი ფასი 1,2 მილიონი ევროდან 0,5 მილიონამდე დაეცა, ახლა კი 750 ათასამდე გაიზარდა.

პროცენტულად ყველაზე მეტად **მიხეილ გორელიშვილისა** და **გიორგი აბურჯანიას** ფასები გაიზარდა: პირველის ტრანსფერი 75,000-დან 225,000-მდე, გორელიშვილისა კი - 100,000-დან 275,000-მდე.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს", ალსანიშნავია რომ მოიმატა ახალგაზრდების ფასმა: 20 წლის **გიორგი პაპავა** უკვე 300,000 ღირს (ადრე 75,000 იყო); მაკედონიელი **დარკო გლიშიჩი** 400,000 - ნაცვლად 150,000-ისა, **ირაკლი ძარია** - 500,000 (350,00).

მაგრამ ყველაზე მკვეთრად **ელგუჯა გრიგალაშვილის** ფასი გაიზარდა: ჯერ კიდევ ზაფხულში, ქუთაისის „ტორპედოში" ყოფნისას, მისი პირობითი ღირებულება 300 ათას ევროს შეადგენდა, ახლა კი 500 ათასი გახდა და უფროს ძმას, ეროვნული გუნდისა და ფამაგუსტას „ანორთოსისის" ფეხბურთელ **შოთა გრიგალაშვილს** (600 ათასი) მიუახლოვდა. ცხადია, ეს შემტევი ნახევარმცველის თბილისის „დინამოში" გადასვლის, ევროთასებზე გატანილი გოლებისა და ეროვნულ ნაკრებში დებიუტის შედეგია.

სამაგიეროდ, დაკლებული თბილისური კლუბის ზოგიერთი ლიდერის ფასი: **გიორგი ლორია** - 1,000,000 ნაცვლად 1,3 მილიონისა; **ისმაელ უსტარიცის** ფასი 800,000-დან 700,000-ზე ჩამოვიდა; **ჩისკოსი** 700,000 - 750,000-დან; **გიორგი მერებაშვილის** 1,000,000 - 1,300,000-დან; **ჯაბა დვალის** 550,000 - 600,000-დან. ყველაზე საგრძნობი მაინც **დავით კვირკველიას** (450,000 - 750,000-დან) და **გიორგი შაშიაშვილის** (300,000 - 600,000-დან) სატრანსფერო ფასის კლება.

ზოგადად, საქართველოს ჩემპიონატს არ წყალობენ, რაზეც ეს ფაქტიც მეტყველებს: გორელების მიერ ძლეული დანიური „ოლბორგის" მოთამაშეთა ჯამური ფასი 9,8 მილიონი ევროა, სპლიტის „ჰაიდუკის" - 17,15 მილიონი, ხოლო „დილასი" - 5,55. სხვათა შორის, ხორვატული კლუბი ლამის გორელთა მძლეველ ვენის „რაპიდის" ფასს უტოლდება - ავსტრიელების შეფასება 17,4 მილიონია. რა თქმა უნდა, ცა და დედამიწაა თბილისის „დინამოსა" და „ტოტენჰემს" შორის - ქართული კლუბის გრაფაში 10,775 მილიონი წერია, ლონდონელთა ჯამური ღირებულება 313 მილიონია!

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, აქ



ჯაბა კანკავა

ჩვენი გუნდის მოთამაშეთა ჯამური ფასი (29,2 მლნ) უფრო ნაკლებია, ვიდრე ესპანეთის ნაკრების შვიდი ფეხბურთელისა ცალ-ცალკე: **სერხიო რამოსი** (40 მლნ), **ანდრეს ინიესტა** (65 მლნ), **სესკ ფაბრეგასი** (45 მლნ), **ისკო** (35 მლნ), **სანტი კასორლა** (30 მლნ), **დავიდ სილვა** (40 მლნ) და **რობერტო სოლდადო** (35 მლნ), საფრანგეთიდან კი ასეთი ორია - **ფრანკ რიბერი** (42,000 მლნ) და **კარიმ ბენზემა** (34 მლნ).

ამ კუთხით, I ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა ( თანხები დასახელებულია ევროებში):

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 525,000,000 |
| საფრანგეთი | 377,500,000 |
| ფინეთი | 42,575,000 |
| საქართველო | 29,200.000 |
| ბელარუსი | 29,100,000 |

არ გაიკვიროთ და, ნაკრების ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიუხედავად, ზოგიერთი ქართველი ფეხბურთელის ფასი გაიზარდა. მაგალითად, ვარშავის „ლეგიაში" გადასული **ლადო დვალიშვილის** ტრანსფერს 1,2 მილიონად აფასებდნენ, ახლა კი - 1,4 მილიონია. დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" დაბრუნებული **სანდრო კობახიძე** 2 მილიონადაა შეფასებული (ივნისში 1,3 მილიონი იყო). ყველაზე საგრძნობლად **ჯაბა კანკავა** და **გია გრიგალავა** „გაძვირდნენ": საქართველოს ნაკრების კაპიტნის ფასი 3 მილიონამდე გაიზარდა (2 მილიონი იყო), ხოლო გრიგალავასი - 2 მილიონამდე (1 მლნ).

„ტრანსფერმარკტის" მიხედვით, ქართველ მოთამაშეებში ლიდერი კვლავ **გურამ კაშია** გახლავთ. ყველაზე ძვირად ღირებულ ქართველთა ექვსეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1.გურამ კაშია | 5 000 000 |
| 2.ჯაბა კანკავა | 3 000 000 |
| 3.ჯანო ანანიძე | 2 500 000 |
| 4-6.ალექს. ამისულაშვილი | 2 000 000 |
| სანდრო კობახიძე | 2 000 000 |
| გია გრიგალავა | 2 000 000 |

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და მედიცინა

# დიმიტრი ზაალიშვილი: საუკეთესო ფსიქოლოგი მწვრთნელია

## ერთი ჭიქა წითელი ღვინო ძლიერი სტიმულატორია

**დიმიტრი ზაალიშვილი** ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური სპორტული ექიმია დიდი გამოცდილებით. მას უმუშავია თბილისის „დინამოში“, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, სხვადასხვა კლუბში, ახლა კი ქუთაისის „ტორპედოს“ ექიმია.

მედიცინა ფეხბურთში და, საერთოდ, სპორტში ძალიან დიდ როლს თამაშობს და ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ინტერვიუ ზაალიშვილთან, ვისაც ფეხბურთში ძალიან ბევრი უნახავს...

**- თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთ მწვავე პრობლემა ფეხბურთელებისთვის ძალების აღდგენაა. ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა საფრანგეთთან მატჩის შემდეგ ფინეთთან შეხვედრისთვის ვერ მოახერხა ძალების აღდგენაო - ასეთი რამეც მოვისმინეთ. მაინც რაშია საქმე, რატომ უჭირთ ქართველ ფეხბურთელებს ინტენსიური გრაფიკით თამაში მაშინ, როცა სხვები 8 დღეში სამჯერ თამაშობენ და თანაც - თვითმფრინავით მგზავრობაც უწევთ?**

- ძალების აღდგენა მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელებისთვის კი არა, სართოდ ყველასთვის პრობლემაა. ყოველ 3 დღეში თამაში იმათ უჭირთ, ვინც სხვანაირადაა მომზადებული და ინტენსიური გრაფიკისთვის მზად არ არის.

**- აღდგენაში ფიზიკური მომზადების მერე მთავარი - ფარმაკოლოგიაა?**

- არა, მხოლოდ ფარმაკოლოგიით ვერ გვარდება ეს პრობლემა. ფეხბურთელის კონსტიტუციაა - როგორ იკვებებოდა ის წლების განმავლობაში და თუ როგორ იკვებება კონკრეტულ პერიოდში. ერთი სიტყვით, მხოლოდ ფარმაკოლოგია აქ უძლურია.

**- ყველაზე მეტად მაინც რა პრეპარატებს იყენებენ აღდგენისთვის?**

- ბევრი პრეპარატი არსებობს და შესაბამისად გაზრდილია დოპინგური მედიკამენტების სია, ასე რომ, მხოლოდ ექიმის გადასაწყვეტი არ არის, თუ რა პრეპარატი ურჩიოს ფეხბურთელს. შეზღუდვები არსებობს და ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ფარმაკოლოგიის გარდა, არსებობს ფიზიოთერაპიული კომპლექსიც - მასაჟი, წყლის პროცედურები და საუნა. კიდევ - ნახშირწყლებით გაძლიერებული კვება.

**- რამდენად აქტუალურია საკვებზე დანამატი?**

- ბიოაქტიური დანამატები გამოიყენება, თუმცა აქაც სიფრთხილეა საჭირო, რადგან არ არის გამორიცხული, ასეთ პრეპარატში ისეთი ნივთიერებებიც შედიოდეს, რაც აკრძალული და საზიანოა სპორტსმენისთვის და პრეპარატის შემადგენელ ნივთიერებებში არ იყოს მითითებული. ნახშირწყლები და ამინომჟავები - ბიოაქტიური დანამატები ძირითადად ამისგან შედგება.

**- ზოგ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ფეხბურთელისთვის საუკეთესო აღმდგენი საშუალება ძილია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

- ძილი მართლაც საუკეთესო აღმდგენი საშუალებაა და თემურ ქეცბაია სწორად იქცევა, როცა ამას ითვალისწინებს. ადრე, დილის შვიდ საათზე აღვიძებდნენ ფეხბურთელებს „ზარიადკაზე“ გასასვლელად, რაც უკვე აღარ არის აქტუალური. თუმცა ძილი ინდივიდუალური საკითხია, ზოგი ადრე იძინებს, ზოგი გვიან. დღეში 8-10 საათი ძილი ოპტიმალურ ვარიანტად ითვლება. გამოიყენება საძილე საშუალებებიც, თუმცა მხოლოდ მცენარეული, მსუბუქი პრეპარატები.

**- ზოგ ქვეყნებში ტრადიციაა: თამაშის მერე ფეხბურთელები ლუდს მიირთმევენ, მაგალითად - გერმანიასა და ბრიტანეთში. მედიცინა როგორ უყურებს ლუდს ფეხბურთში?**

- ლუდთან მიმართებაში ყველა მწვრთნელს თავისი აზრი აქვს. თამაშის შემდეგ 500 მილიგრამი ლუდი ურიგო არ არის. სადილზე ერთი ჭიქა წითელი ღვინო ძლიერ სტიმულატურად ითვლება, მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდება ზომიერების დაცვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ალკოჰოლი აკრძალულ დოპინგად ითვლება.

**- ძლიერი ალკოჰოლური სასმელების მცირე დოზით მიღება რამდენად ნორმალურია?**

- ვისკი, კონიაკი, არაყი... ასეთი სასმელის მიღება სპორტსმენისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

**- ხორცის მოხმარებაც შეზღუდულად უნდა მოხდეს?**

- ქათმის და საქონლის ხორცი დასაშვებია. სხვათა შორის, საქონლის ხორცი ძალიან კარგი აღმდგენი საშუალებაა, ოღონდაც - ახალი და ნატურალური, ანუ გაყინულ ხორცს უკვე აღარ აქვს ის თვისებები, როგორიც ახალს. ღორის და ცხვრის ხორცი ფეხბურთელმა არ უნდა მიირთვას დიდი ცხიმიანობის გამო.

**- კოფეინის შემცველი გაზიანი სასმელები მართლა მავნებელია სპორტსმენისთვის?**



- „კოკა-კოლის“ მირთმევა კატასტროფა ნამდვილად არ არის, ასეთი ტიპის სასმელები შეიცავენ ნახშირწყლებს, თუმცა ჯობია, სპორტსმენმა ნახშირწყლები ნატურალური წვენების სახით მიიღოს. გაზიანი სასმელების მონელება ფეხბურთელებს დისკომფორტს უქმნის.

**- ფეხბურთელებში ხშირია კუნთის ტრავმები - დაჭიმულობა, ნაწილობრივი ან მთლიანი გაგლეჯა - ამის სამედიცინო პრევენცია არ არსებობს?**

- სწორი კვება, რეჟიმი, კუნთის გადაღლის პროფილაქტიკა, ვარჯიშის სწორი დაგეგმვა - ხანდახან ისეც ხდება, რომ ეს ყველაფერი ნორმალურია, მაგრამ კუნთის დაზიანება მაინც შეინიშნება.

**- ბევრ ფეხბურთელს დაუჩივლია, რომ ნერვული გადაღლა აქვს, აღარ სიამოვნებს ვარჯიში და თამაში - ამას რას უპირისპირებს სპორტული მედიცინა?**

- ეს საკმაოდ რთული საკითხია, ხანდახან ამ პრობლემის მოგვარებას დღეში 12 საათი ძილიც კი ვერ შველის. აქ ყველაზე მთავარი კარგი გარემოა და ფაქიზი, ყურადღებიანი დამოკიდებულება ფეხბურთელისადმი. ფეხბურთელიც, მსახიობის დარად პუბლიკაზე თამაშობს და მისი ბიორითმი ყოველთვის არ ემთხვევა განრიგს. სტრესული გადაღლისგან დაცული არავინაა და აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მწვრთნელის როლი - მიმაჩნია, რომ ფეხბურთელისთვის ყველაზე კარგი ფსიქოლოგი სწორედ მწვრთნელია.

**დავით თავართქილაძე**

გურია

**„ლელოს“ გუშინდელ ნომერში ლანჩხუთში გამართული პრესკონფერენციის შესახებ მოგითხრეთ - გამგებელმა ზაზა ურუშაძემ „გურიის“ მთავარ მწვრთნელად რომან პოკორა წარადგინა. პრესკონფერენციის ბოლოს იყო ერთი საინტერესო და, შეიძლება ითქვას, სკანდალური განცხადება - ურუშაძემ თქვა, რომ „გურია“-“დინამოს“ მატჩის მიმდინარეობისას დარეკა „სადაც საჭირო იყო“ და მეორე ტაიმში მსაჯობა გამოსწორდა...**

# ...თურმე, გამგებელმა სადღაც დარეკა და მსაჯობაც გამოსწორდა

## ანუ, რამდენად აჯობებს ერთი მწვრთნელი შვიდ გამოცდილ ფეხბურთელს და რა იმალება უკრაინელი სპეციალისტის დაბალ ხელფასზე ჩამოყვანის უკან?



გურია-დინამო (თბ)

...ასე უპასუხა გამგებელმა გულშემატკივრის მიერ გამოთქმულ პრეტენზიას - მსაჯები გვჩაგრავენო. ქომაგმა მაგალითად მოიყვანა „ვიტ ჯორჯიასა“ და „სიონთან“ გამართული გასვლითი შეხვედრებიც.

*„მსაჯებს ყურადღება უნდა მიექცეს. ცხონებული იმედო დუნდუა რომ ცოცხალი იყოს, ამას ვერ გაგვიბედავდნენ! „ვიტ ჯორჯიასთან“ მსაჯმა დაგვჩაგრა - პენალტი არ მოგვცა, ჩვენს კარში 11-მეტრიანი მოიგონა, გოლიც თამაშგარედან გაგვიტანეს; „სიონთან“ არ გააძევეს ბოლნისელი ფეხბურთელი, რომელმაც შემდეგ მეორე გოლი გაგვიტანა, ხოლო პირველი - თამაშგარედან გავიდა. „დინამოსთან“ კი ყველამ ნახეთ, რაც მოხდა - სამი პენალტი არ დანიშნა მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ“*, - განაცხადა **იური გოგუაძემ.**

გამგებელმა კი მას ასე უპასუხა: „აგერ, ბატონი, რომანიც (პოკორა - ავტ.) ამბობს, რომ მსაჯობა მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. მესმის თქვენი, როცა ცუდად მსაჯობენ, მაგრამ მსაჯი რომ ჩასტვენს, მერე ამას ვეღარაფერი უშველის. ქობულეთში ვილაცამ ბოთლი გადმოაგდო და კლუბი 900 ლარით დააჯარიმეს... მეც გავნაწყენდი ქობულეთში მსაჯობით, მაგრამ ნერვები უნდა მოვთოკოთ. მეც ვთქვი, სადაც საჭირო იყო - ცუდად გვიმსაჯეს სხვაგანაც. სხვათა შორის, ქობულეთიდან, სადაც და ვისთანაც საჭირო იყო, დავრეკე და მეორე ტაიმი სხვანაირად წავიდა, მაგრამ ასე დარეკვა არ უნდა გვჭირდებოდეს“...

საინტერესოა, რა გამგებლის საქმეა, „სადაც საჭიროა“ იქ დარეკვა და მსაჯობა გამოასწოროს? სინამდვილეში, გამგებელს, ჩემს მეხსიერებას თუ ვენდობი, არც არსად დაურეკავს - თამაშის დროს მის გვერდით გახლდით და ვერ ვიხსენებ, „სადაც საჭიროა, იქ დაერეკოს“. მაშ, რაში დასჭირდა იმის თქმა, რაც არ გაუკეთებია?

სხვათა შორის, ანალოგიურად, ამ რამდენიმე დღის წინათ ითქვა, რომ მაჟორიტარმა დეპუტატმა **თემურ ჩხაიძემ** „გურია“-“სიონის“ თამაშის მსაჯები დაასჯევინა. თუ გახსოვთ, ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი მიდიოდა და ყველამ ნახა, გურულთა კამერუნელ ლეგიონერ **არნო ჩუენსუს გიორგი კახელიშვილმა** ფეხში რომ ჩაარტყა, რაც მსაჯმა ვერ დაინახა. რაკი მატჩი ტელევიზიით გადაიცემოდა, თუ ვინმე დასასჯელი იყო, მაჟორიტარის ჩარევის გარეშეც დაისჯებოდა. ხოლო თუ ჩხაიძეს მაინც აქვს „რამე ძალა და გავლენა“, ამას მომდევნო თამაშისთვის გამოიყენებდა და არც გამგებელს დასჭირდებოდა „სადაც საჭიროა, იქ დარეკვა“. რეალობა კი უფრო ისაა, რომ ჩხაიძე ამის მკადრებელი არ უნდა იყოს. გამგებლის ნათქვამზე კი საინტერესოა ფეხბურთის ფედერაციის რეაქცია...

■ ■ ■

...და კიდევ ერთი, როგორც ლანჩხუთელები იტყვიან, ფარცაკი ამბავი: „ლანჩხუთის ბიუჯეტს არ აქვს საშუალება, 2 500 ლარი უხადოს ფეხბურთელებს“, - გვითხრა ზაზა ურუშაძემ ამა წლის ივლისში, რასაც გუნდიდან 7 წამყვანი მოთამაშის წასვლა მოჰყვა; „2500 ლარი თუ თქვენ დიდი ფული გგონიათ და აღარ ვიცი...“ - ამბობს ახლა გამგებელი და „არ ახსენდება“, რომ ისევ ბიუჯეტის ფულზე ლაპარაკობს!

მაშინ, როცა ადგილობრივი ბიუჯეტი გამოფხეკილია და „გურიას“ ფეხბურთელებს ხელფასებს ვერ ურიგებენ, უკრაინიდან ახალი მთავარი მწვრთნელი ჩამოჰყავთ. და ეს მაშინ, როცა ადგილობრივი მწვრთნელის **დავით მახარაძის** მუშაობით ყველა კმაყოფილია. ურუშაძე კი ამბობს, რომ მახარაძეც იმდენს მიიღებს, რამდენსაც პოკორა:

„ლაპარაკია 2 500 ლარზე. თქვენ რა, გგონიათ, რომ ეს დიდი თანხაა?“ - სვამს კითხვას ურუშაძე. არადა, ახლო წარსულში „გურიიდან“ ფეხბურთელების მასობრივად გაშვება სწორედ ფინანსურ პრობლემას დაბრალდა. ახლა კი რა გამოდის? - პოკორა და მახარაძე ერთად 5 000 ლარს მიიღებენ. სავარაუდოდ, 2 000 ლარზე ნაკლები არ ექნება უკრაინიდან ჩამოყვანილი პოკორას თანაშემწის ანაზღაურებაც. ამჟამად, „გურიის“ მთავარ გუნდსა და დუბლშემადგენლობაში კიდევ 5 მწვრთნელია, რომელთა ჯამური ხელფასი 4 ათას ლარზე მეტი იქნება. ამას თუ დავუმატებთ ორი უკრაინელის ტრანსპორტირება-დაბინავების ხარჯებს და საშემოსავლოებს, გამოდის, რომ ლანჩხუთის ბიუჯეტს „გურიის“ 8 მწვრთნელი (!!!) თვეში დაახლოებით 14-15 ათასამდე დაუჯდება. სეზონის დაწყებამდე რომ მოგვარებულიყო ეს პრობლემები, ამისთვის დამატებით 3000 ლარი იყო საკმარისი. დღეს კი თითქმის ამდენი მარტო პოკორას ხელფასია. რამდენად აჯობებს ერთი მწვრთნელი შვიდ გამოცდილ ფეხბურთელს და რა იმალება უკრაინელი სპეციალისტის ასეთ დაბალ ხელფასზე ჩამოყვანის უკან, მალე გამოჩნდება.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

ფუტსალი

# იბერიამ ბათუმში გადასვლა დაადასტურა

**„იბერია სტარის“ ოფისში გამართული პრესკონფერენციის თემა კლუბსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებები იყო, რაზეც „ლელო“ უკვე წერდა - გასულ კვირას, „იბერია სტარის“ პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი ბათუმში იმყოფებოდა, იქაურ მაღალი თანამდებობის პირებს შეხვდა და „იბერია სტარის“ ბათუმის სახელით გამოსვლის პროექტი წარუდგინა. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაინტერესდა ამ პროექტით და მსოფლიო ფუტსალის ელიტაში მყოფი ქართული კლუბის გადარჩენისა და დაფინანსების სურვილიც გამოხატა.**

ამ მოლაპარაკებებსა და სხვა სიახლეებზე „იბერია სტარის“ მენეჯერმა **გიორგი დარჯანიამ** ილაპარაკა:

- 2014 წლიდან „იბერია სტარი“ ბათუმში გადავა და ოფიციალურად გუნდი ამ ქალაქის სახელით იასპარეზებს. აჭარაში გუნდის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია, რადგან ადგილობრივ ხელმძღვანელებს დიდი სურვილი აქვთ, რომ ბათუმი საფეხბურთო ქალაქად გადაიქცეს. ჩვენ კი გვაქვს რეალური საფუძველი, ვთქვათ, რომ 2014 წლიდან „იბერია სტარი“ სწორედ ბათუმის სახელით წარსდგება გულშემატკივართა წინაშე. 2014 წლიდან იმიტომ, რომ უეფაში განაცხადის შეტანის დროს მოლაპარაკება დაწყებული არ იყო და მიმდინარე გათამაშებაში ევროსარბიელზე კვლავ თბილისის სახელით ვითამაშებთ.

**- გუნდი ბათუმში დაბინავდება და თამაშებსაც იქ გამართავს?**

- ყველაფერი სწორედ ამისკენ მიდის. პირველი ნაბიჯი გადაიდგა და მალე ბათუმში უმაღლესი ხარისხის საფარს ჩამოიტანენ. აჭარის მთავრობამ ამ საკითხზე უეფასგან რეკომენდაციები უკვე მიიღო.

**- ეს 2014 წლიდან მოხდება, მაგრამ საინტერესოა, მოლაპარაკებები რა სტადიაშია?**

- ძალიან დიდი პრობლემები გვქონდა, რომელიც სრულად ჯერ არ მოგვარებულა, მაგრამ ძვრები რომ არის, ამ მოლაპარაკებითაც დასტურდება. 1 ოქტომბერს, უნგრეთში უეფას თასის შესარჩევი ეტაპის მატჩები იწყება. ელიტრაუნდში 4-დან 2 გუნდი გადის. აქამდე, როგორც წესი, ელიტრაუნდში უპრობლემოდ გავდიოდით, მაგრამ დღეს საქმე ასე დალხენილად ნამდვილად არ გვაქვს.

**- როგორც შევიტყვეთ, გუნდში ლეგიონერები აღარ არიან...**

- სამწუხაროდ, ასეა. 12 ლეგიონერიდან ერთიც ვერ შევინარჩუნეთ. ამჟამად, „იბერიაში“ მხოლოდ ქართველები ირიცხებიან და შესარჩევ ეტაპზეც მათ დავეყრდნობით. მაგრამ უცხოეთიდან ერთი ქართველი, კვიპროსზე მოთამაშე ნაკრების წევრი გიორგი თოთლაძე ჩამოვიყვანეთ. დანარჩენები კი სხვადასხვა ქართული კლუბებიდან ავიყვანეთ.

**- ჯერ უცნობია, როდის იწყება საქართველოს ჩემპიონატი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

- დღევანდელი მდგომარეობით, ამის თქმა მეც გამიჭირდება.

**- ამჟამად რამდენია კლუბის ბიუჯეტი?**

- ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ გასულ წლებთან შედარებით ნაკლებია. ლეგიონერების შენახვა კლუბს ძალიან ძვირი უჯდებოდა. ახლა კი მხოლოდ ქართველები დარჩნენ და, შესაბამისად, ხარჯიც შემცირდა.

**მერაბ მამულაშვილი**

| გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური | | ესპანეთი. ლა ლიგა. V ტური | | საფრანგეთი. ლიგა 1. VI ტური | |
|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი-ბრაუნშვაიგი | 22:30 | ოსასუნა-ელჩე | 23:00 | სტ. ეტიენი-ტულუზი | 22:30 |

კრიმინალი

# სერიოზული დარტყმა საფეხბურთო კრიმინალს



სინგაპურის პოლიციამ ორგანიზებულ კრიმინალურ სამყაროს სერიოზული დარტყმა მიაყენა

„ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, სინგაპურის პოლიციამ გარიგებული თამაშების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი 15 ადამიანი დააკავა, მათ შორის 13 მამაკაცი და 2 ქალი. რაც მთავარია, დაკავებულთა შორის არის ჯგუფის ორგანიზატორი, მავანი **ტატ სენ ენი**, ვისზეც იტალიასა და უნგრეთში აქამდე ძებნა იყო გამოცხადებული. სენ ენის გარდა წინასწარი დაკავების იზოლატორში დარჩება 5 ადამიანი, 9 კი გირაოს სანაცვლოდ სასამართლომდე გათავისუფლდება.

პოლიციის წარმომადგენელთა ინფორმაციით, აღნიშნულ ჯგუფს ბრალად ედება 680 თამაშის ჩაწყობა, რომელთაგან 380 ევროპის 15 ქვეყანაშია გამართული. მათ შორის ლაპარაკია იტალიის, გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის, სერბეთის, მაკედონიის, ხორვატიის, ფინეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, სლოვენიის, სლოვაკეთისა და შვეიცარიის ჩემპიონატებზე, ასევე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრებზე. BBC-ის მტკიცებით, გამოძიება ძირითადად 2008/11 წლებში ჩადენილ უკანონო ქმედებებზე მიმდინარეობს. ერთია საფეხბურთო თამაშებით მანიპულირება და მეორე ის, რომ ჯგუფის კრიმინალური დოსიე მხოლოდ საფეხბურთო „საქმიანობით" არ შემოიფარგლება.

გამოძიება მიმდინარე წლის თებერვალში ინტერპოლმა დაიწყო. სულ გამოვლენილია 425 ადამიანის სახელი და გვარი, ვინც ამა თუ იმ ფორმით იყო ჩართული ამ საქმეში. მათ შორის ფეხბურთელები, მსაჯები და საფეხბურთო ჩინოვნიკები. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დაკავებულთა და სხვა ეჭვმიტანილთა არათუ ვინაობა, მოქალაქეობაც კი არ სახელდება. რუსული წყაროები კი წერენ, რომ კრიმინალები აქტიურად თანამშრომლობდნენ მათი ქვეყნის შავ სამყაროსთანაც. ინტერპოლის გენერალურმა მდივანმა **რონალდ ნოუბლმა** კოლეგებს აქტიური თანამშრომლობისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

საკითხავია, რამდენად შეეხება ეს სკანდალი ჩვენს ქვეყანას...

მანჩესტერ სიტი

# დაბრუნება დერბის წინ



ვენსან კომპანი „მანჩესტერ სიტის" ერთთვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა

„მანჩესტერ სიტის" 27 წლის ბელგიელმა კაპიტანმა **ვენსან კომპანიმ** პრემიერლიგის I ტურში „ნიუკასლთან" ტრავმა მიიღო, რამაც ფეხბურთელი აქტიურ ფეხბურთს ერთი თვით ჩამოაშორა. ცენტრალური მცველი მოედანს სამშაბათს პლზენის „ვიქტორიასთან" მატჩში დაუბრუნდა. ჩეხებთან შეხვედრა კიდევ არაფერი. „ქალაქელები" მეტოქეს როგორმე მის გარეშეც გაუმკლავდებოდნენ, თუმცა უქმეებზე პრემიერლიგაში ისეთი მატჩია, რომ **მანუელ პელეგრინის** ის ძალიან დააკლდებოდა - კვირას „ეტიჰადს" „მანჩესტერ იუნაიტედი" სტუმრობს. აი, რას ამბობს „ქალაქელთა" დაცვის ლიდერი:

*„პლზენთან" მატჩის დასრულებამდე ის პრიორიტეტულად იყო გამოცხადებული და მომავალ დერბიზე არავინ ფიქრობდა. ახლა კი ჩვენი ყურადღება ამ მატჩისკენ არის მიპყრობილი. წინ უმნიშვნელოვანესი მოვლენა გველოდება. ამის მიუხედავად, ჩეხებთან მოედანზე ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, რადგან მიხარია გუნდში დაბრუნება. მიხარია, რომ ბიჭების გვერდით ვარ და ძველებურად მონდომებით ვვარჯიშობ, რათა საუკეთესო ფორმაში რაც შეიძლება სწრაფად შევიდე. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს ექიმებს არნახული მხარდაჭერისთვის".*

სამშაბათის თამაშით კმაყოფილი დარჩა „ქალაქელების" ყოფილი ვარსკვლავი, 40 წლის **დიტმარ ჰამანიც**. გერმანელის თქმით, ჩეხეთში ნაჩვენები თამაშის შემდეგ „სიტის" უნდა სჯეროდეს, რომ მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება და ნებისმიერი ტურნირის მოგება შეუძლია. მეორე ტაიმის 10-წუთიან მონაკვეთს, როდესაც „სიტიმ" 3 გოლი გაიტანა, ჰამანმა „ბარსელონას", „რეალისა" და „ბაიერნის" დონე უწოდა.

ტოტენჰემი

# ტალანტების თავყრილობა

კვირას „ტოტენჰემს" „კარდიფ სიტი სტედიუმზე" ელის გასვლითი შეხვედრა, ზუსტად იმ არენაზე, სადაც უელსელებმა „მანჩესტერ სიტის" დამარცხება შეძლეს. ერთ კვირაში კი „უაით ჰართ ლეინს" „ჩელსი" სტუმრობს. „დეზების" პორტუგალიელი თავკაცი **ანდრე ვილაშ-ბოაში** მნიშვნელოვანი მატჩების წინ ოპტიმისტურ განწყობაზეა. მას ამის მიზეზი ნამდვილად აქვს. ჩრდილოლონდონელთა შემადგენლობაში სრულფასოვანი დებიუტისთვის ემზადება არგენტინელი ტალანტი, 21 წლის **ერიკ ლამელა**. ამას გარდა შესანიშნავ ფორმაშია ინგლისის ნაკრებში სულ ახლახან მიწვეული 22 წლის გარემარბი **ანდროს ტაუსენდი**. აი, რას ამბობს „ტოტენჰემის" თავკაცი:

*- ლამელას ნიჭი თვითნაბადია და ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. აქამდე გულშემატკივარს ამისთვის დრო არ ჰქონდა ამაში დასარწმუნებლად, რადგან მისი ტრანსფერი გვიან განხორციელდა, მერე კი საერთაშორისო თამაშები დაემთხვა. ერიკი ბავშვობიდანვე მიჩვეულია განსხვავებულ პოზიციებზე ასპარეზობას. „რივერ პლეიტიდან" წასვლის შემდეგ მას თავდამსხმელების უკანაც უთამაშია და მარჯვენა და მარცხენა გარემარბებადაც, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, თუ რამდენად ნიჭიერია.*

*„ქუინზ პარკში" იჯარის შემდეგ მაქსიმალურად მოტივირებული დაგვიბრუნდა ანდროს ტაუსენდიც. თავის შანსს ის მოუთმენლად ელოდა და მან ის მიიღო, როცა აარონ ლენონი დაშავდა. ასეთ დროს დუბლიორები, როგორც წესი, სათანადოდ ვერ ცვლიან ხოლმე ლიდერებს, თუმცა ტაუსენდმა ბოძებული შანსი იდეალურად გამოიყენა. მისი თამაშის მანერა სისწრაფისა და მდიდარი ტექნიკური არსენალის წყალობით შეგვიძლია ფეთქებადად დავახასიათოთ. მუდმივად ცვალებადი ტემპის დამსახურებაა, რომ მისი ბოლომდე გაკონტროლება თითქმის შეუძლებელია. იმედია, ანდროსის პროგრესი არ შეჩერდება და ის ტოპფეხბურთელად ჩამოყალიბდება.*



„ტოტენჰემში" ერიკ ლამელაზე დიდ იმედებს ამყარებენ

ამბები



ხუან კარლოს გარიდო

## ბრიუგემ მწვრთნელი დაითხოვა

„ბრიუგეს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბმა პოსტიდან გაათავისუფლა 44 წლის ესპანელი სპეციალისტი **ხუან კარლოს გარიდო**. მიზეზი ევროპალიგაზე გუნდის წარუმატებლობა გახდა. შეგახსენებთ, რომ ბელგიელები პლეი ოფის საგზურს ვერ შესწვდნენ, განადგურდნენ რა ორი მატჩის ჯამში პოლონურ „შლიონსკთან" - 1:3, 0:3. ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნამდე „ბრიუგეს" გარიდოს სამწვრთნელო შტაბის წევრები **ფილიპ კლემენი** და **სტეფან ვან დერ ჰეიდენი** გაუძღვებიან. დარჩებიან თუ არა ისინი გუნდში, ამას ახალი დამრიგებელი გადაწყვეტს. პოსტი უკვე დატოვა ფიზიოთერაპევტმა **ხორხე სიმომ**. „ბრიუგემდე" გარიდო 2010/11 წლებში „ვილიარეალს" ედგა სათავეში.

## ფიფას რეკომენდაციები ფეხბურთელებს

ფიფას სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ირჟი დვორჟაკმა** ფეხბურთელებისთვის სპეციალური რეკომენდაციები შეიმუშავა, სადაც წერია, რომ მისასალმებელი იქნება, თუკი ისინი სპეციალური გასახდომი პრეპარატებისა და გონებრივი მუშაობის მასტიმულირებელი წამლების მიღებისგან თავს შეიკავებენ, რადგან მასშტაბური კვლევების შემდეგ დადგინდა, რომ ისინი ისეთ ნივთიერებებს შეიცავენ, რომლებიც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ სპეციალურ რეესტრშია შეტანილი. „ფეხბურთელები მსგავსი დანამატების მიღების შემდეგ არა მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობით რისკავენ, არამედ კარიერითაც, რადგან რეალურია, რომ ერთ დღეს დოპინგზე ჩავარდნენ," - აცხადებს დვორჟაკი.

ჩელსი

# გაფუჭებული ბრაზილიური კვერცხი

„ტოტენჰემისა" და „ლივერპულის" გულშემატკივრები, რომლებიც უკმაყოფილონი დარჩნენ რომ **ვილიანი** „ჩელსიმ" დაიბევა, მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში გაკვირვებულები უნდა ყოფილიყვნენ, თუ ვის გამო იბრძოდნენ მათი კლუბები ამ ზაფხულს. ბრაზილიელი ორივეს წარმომადგენელს ესაუბრა. მეტიც, „უაით ჰართ ლეინზე" სამედიცინო შემოწმებაც კი გაიარა იქამდე, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ **რომან აბრამოვიჩის** სარფიან წინადადებაზე უარს ვერ იტყოდა.

ბოლოს და ბოლოს, მას ელირსა დებიუტი ახალ გუნდში. შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიელის თამაში იმედის გაცრუება იყო, მით უფრო გასულ უქმეებზე „არსენალში" **მესუთ იოზილისა** და „ტოტენჰემში" **კრისტიან ერიკსენის** პირველი თამაშების ფონზე. შეკითხვა, თუ სად შეიძლებოდა თავი დაემკვიდრებინა ბრაზილიელს, როცა „ჩელსის" შემადგენლობა ისედაც გადატვირთული იყო შემქმნელი ფეხბურთელებით, ყოველთვის ჩნდებოდა.

ვილიანი უბრალოდ ვერ ჩაეწერა ამ თამაშში. მან 5-კაციან ნახევარდაცვაში მარჯვენა ფლანგზე დაიწყო თამაში და ერთადერთი, რაც მოახერხა, კუთხურის მოპოვება იყო. 10 წუთში ის საპირისპირო ფლანგზე გადავიდა ბედის საძიებლად, თუმცა სულ ტყუილად. შეხვედრაში მთავარი შემქმნელის როლი **ოსკარმა** აიღო საკუთარ თავზე, ვილიანი კი ბურთს ვერ იღებდა. მეორე ტაიმში მან სახიფათოდ ჩაანოდა საჯარიმოში და ისევ დაიკარგა. **მოურინიომ** ფეხბურთელი შეცვალა, რასაც გულშემატკივართა ოვაციები მოჰყვა, თუმცა ისინი ასე მოედანზე შესულ **მატას** მიესალმნენ. ვილიანის დებიუტზე უარესის გახსენება ძნელი საქმეა. „ტელეგრაფი" წერს, რომ მისმა თამაშმა დიდი ხნის წინ გაფუჭებული კვერცხის შთაბეჭდილება დატოვა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ვილიანის ნაცვლად მოედანზე ხუან მატა შედის

პრემიერლიგა

# ლივერპული ისევ გააქტიურდა



უილ ჰიუზი

„დეილი მირორის" ცნობით, „ლივერპული" კიდევ ერთხელ შეეცდება იანვრამდე „დერბი ქაუნთიდან" 18 წლის **უილ ჰიუზის** ტრანსფერი შეათანხმოს. თინეიჯერი ფეხბურთელი ნახევარდაცვის ცენტრში თამაშობს და მერსისაიდელთა გულშემატკივრები მას სოციალურ ქსელებში **სტივენ ჯერარდის** ყველაზე რეალურ მემკვიდრედ მოიხსენიებენ. „დერბის" უახლოეს რამდენიმე თამაშს დაესწრება „წითლების" სპეციალური წარმომადგენელი **დეიდ ფალოუსი**. ჰიუზს „ცხვრებთან" ხელშეკრულება 2016 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. მისი მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება 6 მილიონი ფუნტია.

გეტყვით იმასაც, რომ 2012/13 წლების სეზონში ფეხბურთელმა ჩემპიონშიპში 35 შეხვედრა ჩაატარა და თანაც ტრავმის გამო ორი თვე გამოტოვა. ასაკის გათვალისწინებით ეს უკვე ძალიან სერიოზული მიღწევაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგა. I ტური

# ენცო, ზინედინის ძე

## ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგა ერთი ქართველით დაიწყო


ბექა ვაჩიბერაძემ შახტარის შემადგენლობაში ითამაშა

**ჩემპიონთა ლიგის ძირითადი ტურნირის პარალელურად, დაიწყო ისტორიაში პირველი ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაც, რომლის შესაძლო გამართვაზეც „ლელო“ რამდენიმე თვის წინ წერდა...**

### იდეა

ტურნირის შექმნის და ჩატარების იდეა ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოში NextGen Series-ის წარმატების შემდეგ მოუვიდათ. შეგახსენებთ, რომ NextGen Series (რომელსაც „ლელო“ აქტიურად აშუქებდა), სადაც ერთმანეთს სხვადასხვა ევროპული კლუბის 19-წლამდელთა გუნდები ეჯიბრებოდნენ, პირველად 2011/12 წლების სეზონში გაიმართა და ამ ტურნირმა უმალვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მომდევნო წელს, მონაწილეთა რაოდენობა 16-დან 24-მდე გაიზარდა.

როგორც ჩანს, უეფაში არ მოეწონათ ის, რომ სატელევიზიო პროდიუსერის, **ჯასტინ ენდრიუსის** მიერ დაარსებული ტურნირი პოპულარობას იხვეჭდა და რომ გარეშე პირები იმ ბრენდებით სარგებლობდნენ, რომლებსაც შემოსავალი უეფასთვის უნდა მოეტანათ. შესაბამისად, გადაწყდა ალტერნატიული, 19-წლამდელთა ჩემპიონთა ლიგის ჩატარება, რამაც NextGen Series-ს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა...

### ფორმატი

ტურნირში იმ 32 კლუბის ახალგაზრდული გუნდი მონაწილეობს, ვინც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვდა. ჯგუფური ეტაპის ფორმატი დიდების ტურნირის ანალოგიურია: 19-წლამდელები იმავე გუნდებს ეთამაშებიან, ვისაც დიდები ხვდებიან და საბოლოოდ, ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო გადის.

აი, პლეი ოფის ფორმატი კი განსხვავებულია - 1/8 და 1/4 ფინალებში გუნდები ერთმანეთს თითოჯერ ხვდებიან, ხოლო 1/2 ფინალი და ფინალი ერთ ქვეყანაში გაიმართება. 2014 წლის „ოთხთა ფინალს“ შვეიცარიის ქალაქი ნიონი უმასპინძლებს, გამარჯვებულს კი **ლენარტ იოჰანსონის** სახელობის თასი გადაეცემა.


ენცო ფერნანდესი ზინედინ ზიდანის ვაჟია

აქვე ალვნიშნოთ, რომ ასეთი ფორმატის გამო, ტურნირში მონაწილეობას ვერ იღებენ: ბოლო NextGen Series-ის გამარჯვებული „ასტონ ვილა“, მესამე ადგილზე გასული ლისაბონის „სპორტინგი“, „ტოტენჰემი“, „ლივერპული“ და ა.შ. ეს ყველაფერი კი ტურნირს ოდნავ, მაგრამ მაინც გააღარიბებს, რადგან იმავე NextGen Series-ის უკანასკნელი გათამაშების ბომბარდირთა დავაში, პირველ ექვს ადგილზე გასული ფეხბურთელებიდან ხუთი სწორედ ამ გუნდებში თამაშობდა.

### ტალანტები

ამ ტურნირზე რომ უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი ითამაშებს, ეს ისედაც გასაგებია. ზოგიერთი მოთამაშე ამ სეზონში თავს გამოიჩენს და ამომავალ ვარსკვლავთა კატეგორიაში მოხვდება, ზოგიერთი კი უკვე საკმაოდ ცნობილი ფიგურაა და მას „ლელოს“ მკითხველიც იცნობს.

მაგალითად, ასეთია „არსენალის“ შემადგენლობაში გამორჩეული **სერჟ გნაბრი**, რომელმაც შარშან დიდების ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა. ახალგაზრდა გერმანელმა ფეხბურთელმა „მარსელთან“ დუბლი შეასრულა და ლონდონელების გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა.

„ჩელსის“ რიგებში გოლი გაიტანა შოტლანდიელმა **ისლამ ფერუზმა**, ვინც შარშანდელ სეზონში NextGen Series-ის საუკეთესო ბომბარდირი გახდა („ასტონ ვილას“ ნიჭიერ ირლანდიელ **გრემ ბურკთან**) ერთად.

ასევე, აუცილებლად უნდა გამოვყოთ „მანჩესტერ სიტის“ ორი ფეხბურთელი: პორტუგალიელი **მარკოს ლოპეში**, რომელმაც დუბლი შეასრულა და ინგლისელი **ჯორჯ გლენდონი**, ვინც სამი საგოლე გადაცემა მიითვალა.

რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, ვინც გუნდებს განაცხადში ჰყავთ, მაგრამ ან არ უთამაშიათ, ან კიდევ თავი ვერაფრით გამოიჩინეს: მანჩესტერ იუნაიტედის“ 10 ნომერი **ადნან იანუზაი** გახლავთ, მაგრამ ახალგაზრდა ბელგიელი „ბაიერთან“ განაცხადში არ ყოფილა (იანუზაი ვერც დიდების განაცხადში მოხვდა).

„ლევერკუზენის“ განაცხადში კი **უვე ზეელერის** შვილიშვილი **ლევინ იოზთუნალია**, ვინც ასევე ძირითადი გუნდის წევრიც გახლავთ და იანუზაის მსგავსად, მასაც არ უთამაშია.

ცნობილი ფეხბურთელების შთამომავლებზე თუ მიდგა საქმე, გეტყვით, რომ მადრიდის „რეალის“ რიგებში ცვლილებაზე გამოვიდა და მოედანზე 18 წუთი დაჰყო **ენცო ფერნანდესმა**. თუ მისი სახელი და გვარი არაფერს გეუბნებათ, მოგახსენებთ, რომ 18 წლის ფრანგი დედის გვარზეა, მამა კი გვარად **ზიდანი** გახლავთ...

ორი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია პსჟ-ს განაცხადში, თუმცა **ერვინ ონგენდას** და **ადრიენ რაბიოს** „ოლიმპიაკოსთან“ არ უთამაშიათ.

**ნათან აკე** (ჰოლანდია), **ლუის ბეიკერი**, **ალექსანდერ კივომია**, **ისაია ბრაუნი** (ბელგია) - „ჩელსის“ ნიჭიერმა ფეხბურთელებმა „ბაზელთან“ ითამაშეს და დიდებისგან განსხვავებით, დიდი ანგარიშითაც იმარჯვეს.

სამწუხაროდ, ძირითადი ტურნირის არ იყოს, საქართველოს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების ფეხბურთელს ვერც 19-წლამდელთა ჩემპიონთა ლიგაში ვხვდებით, თუმცა ერთმა ქართველმა ამ დღეებში მაინც ისასპარეზა: დონეცკის „შახტარის“ რიგებში, მოედანზე 90 წუთი უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრების წევრმა **ბექა ვაჩიბერაძემ** გაატარა.

**I ტური**

**A ჯგუფი**

**სოსიედადი-შახტარი** 3:2
**გოლები:** 0:1 მირანიანი (9), 1:1 მარკელანსი (16), 2:1 გურიდი (33), 3:1 ბაუტისტა (39), 3:2 კოვალენკო (88)

**მანჩესტერ იუნ.-ლევერკუზენი** 4:3
**გოლები:** 1:0 უილსონი (4), 2:0 პირსონი (10), 2:1 ბრასნიჩი (27), 2:2 ბრასნიჩი (29), 2:3 ვაგენერი (61), 3:3 პერეირა (71), 4:3 უილსონი (89-პენ)

**B ჯგუფი**

**კოპენჰაგენი-იუვენტუსი** 2:2
**გოლები:** 1:0 მარინი (12-საკ. კარში), 1:1 გარსია (26), 1:2 საკორი (62), 2:2 ვოლგემუტი (90+4-პენ)

**გალათასარაი-რეალი** 1:1
**გოლები:** 1:0 ტაში (15), 1:1 ნარვაესი (16)

**C ჯგუფი**

**ბენფიკა-ანდერლეხტი** 3:0
**გოლები:** 1:0 როჩინა (45), 2:0 სანტოსი (60), 3:0 გომეში (90)

**ოლიმპიაკოსი-პსჟ** 0:0

**D ჯგუფი**

**პლზენი-მანჩესტერ სიტი** 1:4
**გოლები:** 0:1 ბიტიქი (10), 0:2 მარკოს ლოპეში (31), 1:2 კრატოხვილი (51), 1:3 დ. კოული (54), 1:4 მარკოს ლოპეში (63)

**ბაიერნი-ცსკა** 0:2
**გოლები:** 0:1 გეორგიევსკი (64), 0:2 ბორზიხი (88)

**E ჯგუფი**

**ჩელსი-ბაზელი** 4:0
**გოლები:** 1:0 კადოიცი (20-საკ. კარში), 2:0 სვიფტი (27), 3:0 ფერუზი (67), 4:0 კივომია (88)

**შალკე-სტიაუა** 3:0
**გოლები:** 1:0 კოსელერი (16), 2:0 ომერბაშიჩი (57), 3:0 მულტჰაუპი (79)

**F ჯგუფი**

**მარსელი-არსენალი** 1:4
**გოლები:** 0:1 აივობი (6), 0:2 გნაბრი (55), 0:3 გნაბრი (60), 1:3 ილიევი (76-საკ. კარში), 1:4 ჯები (78)

**ნაპოლი-დორტმუნდი** 1:0
**გოლი:** 1:0 ტუტინო (16-პენ)

**G ჯგუფი**

**აუსტრია-პორტუ** 3:0
**გოლები:** 1:0 ზივოტიჩი (10), 2:0 პროკოპი (37), 3:0 მიხორლი (55)

**ატლეტიკო-ზენიტი** 4:2
**გოლები:** 1:0 ბორხა მარტინესი (23), 2:0 ჯონი (35), 3:0 კალერო (43), 4:0 ივი (69), 4:1 სიმონიანი (76-პენ), 4:2 გასილინი (88)

**H ჯგუფი**

**მილანი-სელტიკი** 3:1
**გოლები:** 1:0 პინატო (7), 1:1 ლინდსეი (44), 2:1 პინატო (50-პენ), 3:1 ტამაში (75)

**ბარსელონა-აიაქსი** 4:1
**გოლები:** 0:1 აკოლატსე (19), 1:1 კინტილია (45), 2:1 ელ ჰადადი (53), 3:1 ელ ჰადადი (74), 4:1 ებველე (84)

**ტატო ბაციკაძე**


მოსკოვის ცსკას ფეხბურთელებმა მიუნხენის „ბაიერნი“ დაამარცხეს

● რეკორდი

# მესი: უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რაულის დაწევა

## არგენტინელმა ვარსკვლავმა ჩემპიონთა ლიგაზე ჰეთთრიკების რეკორდი დაამყარა


ლიონელ მესიმ „აიაქსი“ დაბრიყვა

18 სექტემბერს „ბარსელონამ“ 4:0 გაანადგურა ამსტერდამის „აიაქსი“. „კამპ ნოუზე“ განსაკუთრებით **ლიონელ მესი** გამოირჩა, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა.

როგორც „ბარსელონას“ ოფიციალური საიტი იუწყება, მესიმ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ჰეთთრიკების რაოდენობით რეკორდი დაამყარა - მის ანგარიშზე უკვე 4 ჰეთთრიკია ლიგაზე.

3-3 ჰეთთრიკი აქვთ **მარიო გომესს**, რომელიც ახლა „ფიორენტინაში“ თამაშობს და **ფილიპო ინძაგის**, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ ყოფილ ფეხბურთელს.

ამასთან, ლეოს ანგარიშზე ლიგაში უკვე 62 გოლია, ის მეორე ადგილზეა და მხოლოდ „რეალის“ ლეგენდა **რაულ გონსალესს** ჩამორჩება, ვის ანგარიშზეც 71 გოლია.

*„მოხარული ვარ, რომ უკვე 62 გოლი მაქვს გატანილი ჩემპიონთა ლიგაზე, მაგრამ უფრო ის მიხარია, რომ გუნდმა გაიმარჯვა და თანაც მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა. სხვათა შორის, „აიაქსი“ მომეწონა, ისინი შეეცადნენ ჩვენთვის ბურთის წართმევას და თამაშის კონტროლირებას! სასიამოვნოა, ისეთ მეტოქესთან თამაში, რომელიც ცდილობს ღია ფეხბურთი გეთამაშოს. რა თქმა უნდა, სასიამოვნო იქნება, როცა რაულს ბომბარდირთა დავაში გადავასწრებ, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. გუნდს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს. უნდა ვეცადოთ თასის მოგებას. გოლები და რეკორდი კი თავისით მოვა, ამ სეზონში თუ არა - შემდეგში მაინც.“* - განუცხადა 26 წლის არგენტინელმა უეფას საიტს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინციდენტი



### ადრიანის ყბა

მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „ზენიტის“ მატჩში ერთი უსიამოვნო ინციდენტი მოხდა - **ადრიან ლოპესმა** ყბა მოიტეხა. ტრავმა იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ „ატლეტიკოს“ ფორვარდს სასწრაფოდ გაუკეთდა ოპერაცია.

*„მადლობა მინდა ვუთხრა ყველას ვინც ჩემდამი მხარდაჭერა გამოხატა. მიხარია, რომ გუნდმა მოიგო. კარგია, როცა ასე იწყებ სეზონს“*, - დაწერა მოგვიანებით „ტვიტერზე“ 24 წლის ლოპესმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კვირა ციფრებში

# სერიები, წითლები და ჰეთთრიქები

**კვირის დღევანდელ სტატისტიკურ მიმოხილვაში მუნირ ელ ჰამდაუის და ჟოს ჰეთთრიქზე, ლუის გუსტავოს ზედიზედ ორ გაძევებაზე, „ალ აჰლის" წარმატებასა და ლიეჟის „სტანდარდის" მშრალ სერიაზე ვისაუბრებთ...**



**512** - წუთის განმავლობაში არ უშვებდა გოლს ლიეჟის „სტანდარდი", სანამ კვირას, „ოსტენდესთან" შეხვედრის მე-12 წუთზე, **ლორან დეპუატრმა ეიჯი კავაშიმას** კარი არ აილო. „წითელმა ეშმაკებმა" ჩემპიონატის პირველ 6 შეხვედრაში შეძლეს კარის მშრალად შენახვა და საკუთარ კარში პირველი ბურთი მხოლოდ მეშვიდე მატჩში მიიღეს. მიუხედავად ამ გაშვებული გოლისა, „სტანდარდმა" მეტოქეს შანსი არ დაუტოვა, 4:2 მოუგო და ამ სეზონში, ყველა ტურნირზე, ზედიზედ მე-13 გამარჯვება მოიპოვა. შეხვედრის გმირი გახდა 19 წლის **მიჩი ბაჩუაი**, რომელმაც პროფესიულ კარიერაში პირველი ჰეთთრიქი შეასრულა.

**16** - მატჩიანი წაუგებელი სერია კაიროს დერბიში - „ალ აჰლიმ" ყველაზე საძულველი მეტოქე, „ზამალეკი" კიდევ ერთხელ დაამარცხა და აფრიკის ჩემპიონთა ლიგის 1/2 ფინალში გავიდა. ეგვიპტის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მხრიდან გოლები **ვალიდ სოლიმანმა, აჰმედ აბდელ ზაჰერმა, მოჰამედ აბუტრიკამ** და **აჰმედ ფათჰიმ** გაიტანეს, მათმა გუნდმა კი 4:2 მოიგო. ნახევარფინალში ასევე გავიდა „ესპერანსიც", რომელიც ტურნირის ამ ეტაპზე ზედიზედ მეოთხედ აღმოჩნდა. ტუნისელების გარდა, მსგავსი მიღწევით მხოლოდ ერთ გუნდს, სწორედ „ალ აჰლის" შეუძლია იამაყოს - XX საუკუნის აფრიკის საუკეთესო კლუბმა ჩემპიონთა ლიგის 1/2 ფინალში 2005-2008 წლებში ითამაშა.

**6** - წუთი დასჭირდა **ჟოს** იმისთვის, რომ ამ კვირის ყველაზე სწრაფი ჰეთთრიქი შეესრულებინა, მისმა „ატლეტიკო მინეირომ" კი „კორიტიბას" 3:0 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის ნაკრების ფორვარდს, საშინაო ჩემპიონატში გოლი 11 თვის (!) განმავლობაში არ ჰქონდა გატანილი - უკანასკნელად, „ბრაზილეირაოში" ჟომ „ფლუმინენსეს" კარი დალაშქრა, ეს მატჩი კი 2012 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა. ბუნებრივია, რომ ეს გოლები 26 წლის ფორვარდისთვის წლევანდელ სერია A-ში პირველი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში დიდი ხნის განმავლობაში ვერ გაჰქონდა, ჟოზე აუგს მაინც ვერავინ იტყვის. გასაგები მიზეზების გამო, სერია A-ს სტარტზე ფორვარდი ლიბერტადორესის თასზე იყო გადართული, სადაც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც მიიღო, შემდეგ კი კონფედერაციათა თასზე ითამაშა და ორი გოლი ამ ტურნირზეც გაიტანა. „კორიტიბასთან" მატჩამდე კი „ატლეტიკოს" ფორვარდმა ბრაზილიის ნაკრების ორ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა (ავსტრალიასთან და პორტუგალიასთან) და თავი ორივე შეხვედრაში გამოიჩინა - ავსტრალიასთან დუბლი შეასრულდა, პორტუგალიას კი ერთი გოლი გაუტანა.

**3** - გოლი გაიტანა **მუნირ ელ ჰამდაუიმ** „მალაგას" და „რაიო ვალეკანოს" შეხვედრაში და ბოლო 10 წლის განმავლობაში გახდა ანდალუსიური კლუბის პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ლა ლიგის შეხვედრაში ჰეთთრიქი შეასრულა. ბოლოს „მალაგას" რიგებში ერთ შეხვედრაში სამი გოლი 2003 წელს **სალვა ბალესტამ** გაიტანა, როდესაც მისმა გუნდმა „ბარსელონას" უმასპინძლა და ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი გამარჯვება მოიპოვა - 5:1.

საბოლოოდ, „მალაგამ" „რაიოს" 5:0 მოუგო და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ანდალუსიელები 8 ქულით ჩამორჩებიან ლიგის თანალიდერ მადრიდის „ატლეტიკოს", რომელმაც სეზონის პირველ ოთხ შეხვედრაში იმარჯვა. ასეთი წარმატებული სტარტი „როხიბლანკოს" ბოლოს 1995/96 წლების სეზონში ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ იმ სეზონში „ატლეტიკომ" უკანასკნელად მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, რასაც ესპანეთის თასიც მიაყოლა.

**2** - წითელი ბარათი პირველ სამ შეხვედრაში - **ლუის გუსტავოს** „ვოლფსბურგში" არც ისე წარმატებული დებიუტი გამოუვიდა, არადა, „მგლების" რიგებში ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში ბრაზილიელმა გოლი გაიტანა, თუმცა მომდევნო მატჩში უკვე წითელი ბარათი მიიღო. დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, მოედანზე დაბრუნებული 26 წლის ნახევარმცველი კიდევ ერთხელ გააძევეს - ამჯერად ლევერკუზენის „ბაიერთან", ვისთანაც მისმა გუნდმა 1:3 წააგო. საინტერესოა, რომ ლუის გუსტავოს მიუნხენის „ბაიერნის" რიგებში, სადაც 65 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, წითელი ბარათი ერთხელაც არ მიუღია.

**მანუელ ნოიერმა** კი ბუნდესლიგაში მე-100 მშრალი მატჩი ჩაატარა, მისმა „ბაიერნმა" კი „ჰანოვერს" 2:0 მოუგო. „რეკორდმაისტერის" 27 წლის მეკარე ყველაზე ახალგაზრდა გოლკიპერია, რომელმაც მსგავს ნიშნულს მიაღწია.

„ბაიერნი" ორი ქულით ჩამორჩება დორტმუნდის „ბორუსიას". **იურგენ კლოპის** გუნდმა საწყის ხუთ ტურში იმარჯვა და ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა.

● კვირის ფრაზები

# ფალკაო არასდროს დამსიზმრებია

გთავაზობთ გასული კვირის ყველაზე საინტერესო ფრაზებს და გამოთქმებს...

*„ფალკაო არასდროს დამსიზმრებია. საერთოდ, ფეხბურთელზე სიზმარი არასდროს მინახავს. რა თქმა უნდა, ის საოცარი მოთამაშეა. მე მის თამაშს ვუყურებ და სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ ღამით სულ სხვა რაღაცები მესიზმრება"* - **ლუი ნიკოლენი**, „მონპელიეს" პრეზიდენტი.

*„მან ჩემში ისეთი თვისებები აღმოაჩინა, რაც სხვა ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ შეძლო. როდესაც მისი ხელმძღვანელობით ვთამაშობდი, თავი ტერმინატორი მეგონა. საკუთარ თავში ისე ვიყავი დარწმუნებული, თითქოს კატიდან ლომად ვიქეცი"* - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჟოზე მოურინიოსთან** მუშაობის შესახებ.



„მონპელიეს" პრეზიდენტი ლუი ნიკოლენი

*„ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გუნდში აღზრდილი მწვრთნელები გვყავდა - ჯერ პეპი და შემდეგ ტიტო. საკუთარ სათამაშო სტილს უკვე იმხელა ყურადღებას ვაქცევდით, რომ ბოლოს, ჩვენი ფილოსოფიის მონებად ვიქეცით. ახლა, ჩვენი მწვრთნელი ტატაა, რომელიც იმავე ფილოსოფიის მიმდევარია, მაგრამ მას ალტერნატიული შეხედულებებიც აქვს, რაც, ჩემი აზრით, უაღრესად პოზიტიური მომენტია. თუ წნეხის ქვეშ ხარ და თამაში გიჭირს, ჩაწოდებებსა და გრძელ პასებზე გადასვლა ცუდი გამოსავალი არაა. აუცილებელია, რომ სიახლეებს ეძებდე და მუდამ ვითარდებოდე, თორემ იოლად გასაშიფრი და პროგნოზირებადი გახდები"* - **ჟერარდ პიკე** „ბარსელონას" ტაქტიკის შესახებ.

*„სამუელ ეტოომ არ იცის როგორ უნდა დაწეროს SMS, ან როგორ მოიხმაროს ლეპტოპი. არა იმიტომ, რომ სულელია, არამედ იმიტომ, რომ ეს მას არ აინტერესებს. ერთადერთი რამ, რაზეც ის ფიქრობს, არის ფეხბურთი"* - **ოტო პფისტერი**, კამერუნის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი.

*„არა მგონია მართებული იყოს ეუსებიოს ვინმესთან შედარება - ჩემთვის ის მეფეა. ზოგადად, წარმოუდგენელია, დაადგინო, ვინაა უკეთესი: ეუსებიო, კრიშტიანო რონალდო, ლუიშ ფიგუ, მარადონა თუ ვინმე სხვა. ყველას საკუთარი შეხედულება აქვს და მსგავსი მოსაზრება ყოველთვის სუბიექტურია"* - **ლუიშ ფიგუს** პასუხი კითხვაზე: „სჯობს თუ არა კრიშტიანო რონალდო ეუსებიოს".

შეგახსენებთ, რომ „რეალის" ფეხბურთელმა 1966 წლის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირს პორტუგალიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში გადაასწრო და ჟურნალისტებს ეს კითხვაც ამიტომ დაებადათ.

*„დღეს გოლების გატანა უფრო იოლია. მე პორტუგალიის ნაკრებში 60 მატჩი ჩავატარე და 41 გოლი გავიტანე, მაგრამ არასდროს მითამაშია ლიხტენშტაინის და აზერბაიჯანის წინააღმდეგ"* - **ეუსებიო**.

*„მისი ფასით გაოცებული ვარ. ბეილი მსოფლიო დონის ფეხბურთელი არაა. არა მგონია, რომ მან „რეალში" დიდ წარმატებებს მიაღწიოს"* - **ბერტი ფოგტსი**.

*„ჩემი აზრით, დღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ნეიმარია. მის წინააღმდეგ ჟენევაში, იტალიის ნაკრების რიგებში ვითამაშე და ის ბურთით უბრალოდ საოცრებებს სჩადიოდა"* - **სტეფან ელ შაარავი**.

*„მე 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგე და საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მივიღე, მაგრამ თავს მსოფლიოს მბრძანებლად ნამდვილად არ ვგრძნობ. არ გავჩერდები, რადგან ჯერ „ოქროს ბურთი" არ მომიგია"* - **პოლ პოგბა**.

*„მე არავინ ვარ. ყველა სხვა ადამიანის მსგავსად, ერთ დღეს მეც მოვკვდები და სიცოცხლეს ხის სასახლეში დავასრულებ. მე უბრალოდ ბედნიერი ვარ იმით, რომ ეროვნულ გუნდს ასეთ კარგ მდგომარეობაში ვხედავ. ეს ყველაფერი განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის ფონზე, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ბელგიას აშკარად ჩავარდნა ჰქონდა"* - **მარკ ვილმოტსი** საუბრობს თავის როლზე ბელგიის ნაკრების გამოცოცხლებაში.

*„ჩვენ აბსოლუტურად მოუმზადებელნი ვიყავით, მაგრამ სეზონის საუკეთესო თამაში ჩავატარეთ. მოთამაშეები სანაკრებო შეკრებიდან გუშინ, 18:15-ზე დაბრუნდნენ და თამაშისთვის მომზადება ვერც მოვასწარით. ხედავთ შედეგს? მწვრთნელის არსებობას აზრი არ აქვს!"* - ლორან ბლანი პარასკევს, პსჟ-ს მიერ „ბორდოს" დამარცხების (2:0) შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**



ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# სახედაკარგული იურგენ კლოპი

## ...და დადუმებული მოურინიო


ასე „გაგიჟდა“ იურგენ კლოპი


ასე დაადუმეს ჟოზე მოურინიო

**როგორც გამოჩნდა, ჟოზე მოურინიოს „ჩელსიში“ ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს და დრო სჭირდება იმისათვის, რომ ლონდონურ კლუბში ყველაფერი თავის გემოზე დაალაგოს. „ბაზელის“ ფეხბურთელებმა, სალაჰმა და შტრელერმა „ჩელსი“ შოკში ჩააგდეს!**

**„ბარსელონამ“ მესის ჰეთთრიკით „აიაქსი“ უპრობლემოდ გაანადგურა, „მილანს“ და „არსენალს“ გაუჭირდათ, დებიუტანტმა „აუსტრიამ“ კი „პორტუსთან“ მედგრად იბრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა.**

### E ჯგუფი

**ჩელსი–ბაზელი 1:2**

**გოლები:** 1:0 ოსკარი (45), 1:1 სალაჰი (72), 1:2 შტრელერი (81)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მოჰამედ სალაჰი (ბაზელი)

„იუვენტუსის“ ფრე კოპენჰაგენში თურმე ჟურნალი ყოფილა იმასთან შედარებით, რაც ოთხშაბათს გველოდა: იმას, რაც ბაზელმა ლონდონში შეძლო, სენსაციაც აღარ ეთქმის - პატარა სასწაულია. თუმცა შვეიცარიულ კლუბს ინგლისური გრანდების გამწარება სჩვევია (გაიხსენეთ, როგორ ჩატოვა „ბაზელმა“ შარშანწინ ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედი“). შვეიცარიული კლუბის წარმატებას ორმაგად საინტერესოს და სენსაციურს ხდის ის, რომ პირველი ტაიმი „ჩელსიმ“ მოიგო და „ბაზელმა“ თამაში მეორე ნახევარში შეატრიალა.

არადა, პირველი ტაიმი და ზოგადად მატჩის მიმდინარეობა **ჟოზე მოურინიოს** კლუბს ცუდს არაფერს უქადდა. მე-20 წუთამდე „ბაზელი“ „ჩელსის“ ნახევარზე არც გადასულა, მერე კი გადავიდა, მაგრამ აბსოლუტურად უხეიროდ. ლონდონელები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდნენ. ამრიგად, პირველი ნახევრის მიწურულს **ოსკარის** გოლი პრაქტიკულად არაფრისგან შეიქმნა და გავიდა - ბრაზილიელმა **ლამპარდის** პასი შეიშნოვა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმის პირველი ნახევარიც „ჩელსის“ უპირატესობით წარიმართა და 62-ე წუთზე **ედენ აზარს** სხვაობის გაზრდა მართებდა, მაგრამ კარგი მომენტი გაანიავა. ცოტა ხანში „ბაზელის“ მეკარე **იან ზომერმა სამუელ ეტო'ოს** ჩაუჭრა გამჭოლი პასი. მერე კი დაიწყო ის, რასაც არავინ ელოდა და ვერავინ წარმოიდგენდა: შვეიცარიელებმა საოცნებო კომბინაცია, რომელშიც **ბეჰრან საფარი, მატიას დელგადო** და **მარკო შტრელერი** მონაწილეობდნენ, **მოჰამედ სალაჰის** გოლით დააგვირგვინეს. უფრო მეტიც: 81-ე წუთზე „ჩელსის“ კართან დანიშნული კუთხური შტრელერის ზუსტი თავური დარტყმით დაგვირგვინდა - მას **კეჰილმა** ხელი ვერ შეუშალა. 92-ე წუთზე ეტოოს გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ზომერმა აუღო.

**ჟოზე მოურინიო** („ჩელსის“ მწვრთნელი): *„ჩვენს კარში პირველი გოლი ბრწყინვალე კომბინაციას მოჰყვა და ამის გამო „ბაზელის“ ფეხბურთელები აპლოდისმენტებს იმსახურებენ. აი, მეორე გოლი კი ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია - დაცვის ცენტრში უპატიებელი შეცდომები იქნა დაშვებული, რომელთა გამოც დავისაჯეთ.“*

**მურატ იაკინი** („ბაზელის“ მთავარი მწვრთნელი): *„ამ გამარჯვებით აჟიოტირება არ ღირს - რაც არ უნდა იყოს, პირველი თამაში მოვიგეთ, წინ კი კიდევ 5 ტურია. უბრალოდ, გასახარია, რომ „ჩელსი“ ლონდონში დავამარცხეთ.“*

**შალკე–სტიაუა 3:0**

**გოლები:** 1:0 უჩიდა (67), 2:0 კ. ბოატენგი (78), 3:0 დრაქსლერი (85)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კევინ-პრინს ბოატენგი (შალკე)

ვისაც მატჩი ან მისი მიმოხილვა არ უნახავს, ანგარიშმა, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს, რადგან ბუქარესტის „სტიაუა“ ერთი საათის განმავლობაში საკმაოდ კარგად თამაშობდა, „შალკეს“ თითქმის არაფერს აბედვინებდა და პირიქით, კონტრშეტევებზე „კბენდა“. რუმინული კლუბი თავს კარგად იცავდა, მოედნის ცენტრშივე პრესინგს მიმართავდა და რაც დრო გადიოდა, გელზენკირხენელებს უფრო და უფრო ეტყობოდათ ნერვიულობა. „შალკეს“ ფანები ფეხბურთელების შეგულიანებას უკვე ამაოდ ცდილობდნენ, როცა „სტიაუას“ თავკაცმა **რეგეკამპფმა** არა დაცვა, არამედ შეტევა გააძლიერა და გარკვეულწილად გარისკა. თუმცა „შალკეს“ პირველი გოლი ამ რისკის ბრალი არ ყოფილა - **აცუტო უჩიდამ** ანგარიში ძალიან მოულოდნელად და ალოგიკურად გახსნა. მისმა გოლმა „შალკეს“ ფრთები შეასხა, „სტიაუა“ კი ფსიქოლოგიურად მოშალა, რის შემდეგაც **კევინ-პრინს ბოატენგმა** და **იულიან დრაქსლერმა** კიდევ თითო გოლი გაიტანეს და საბოლოოდ თამაშიდან გამომდინარე ერთობ ალოგიკური ანგარიში დააფიქსირეს.

**იენს კელერი** („შალკეს“ მწვრთნელი): *„ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით დავიწყეთ, ყველაზე მეტად კი ის მახარებს, რომ კარი ისევ მშრალად შევინახეთ. მეორე ტაიმის დასაწყისში აშკარად გაგვიჭირდა. პირველ გოლში გაგვიმართლა, მაგრამ საბოლოო ჯამში გამარჯვება დამსახურებულია.“*

**ლაურენციუ რეგეკამპფი** („სტიაუას“ მწვრთნელი): *„ჩემმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა - ოღონდ, მეორე ტაიმის შუა პერიოდამდე. უიღბლო გოლის შემდეგ კი ფარ-ხმალი დავყარეთ. დღეს ყველამ ერთად დავინახეთ, რომ ევროპალიგასა და ჩემპიონთა ლიგას შორის უდიდესი განსხვავებაა.“*

### F ჯგუფი

**მარსელი–არსენალი 1:2**

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (65), 0:2 რემსი (84), 1:2 აიუ (93-პენ)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** თეო უოლკოტი (არსენალი)

მარსელის „ოლიმპიკმა“ საკუთარ მოედანზე „არსენალთან“ ზედმეტად პასიური და უიდეო ფეხბურთი ითამაშა, რის გამოც „ველოდრომის“ პუბლიკის სტვენა მატჩის განმავლობაში რამდენჯერმე დაიმსახურა. ლონდონელები კი მონდომებით უტევდნენ და აბსოლუტურად დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს. რომ არა მსაჯის შეცდომა, უგოლოდ არც პირველი ტაიმი დამთავრდებოდა - პორტუგალიელმა არბიტრმა **ოლეგარიო ბენკერენშამ** 26-ე წუთზე „მარსელის“ კარში დასანიშნი პენალტი არ დანიშნა (**მერტეზაკერს** ფრანგების საჯარიმოში სახეში უთავაზეს). ალსანიშნავია, რომ მალევე იმავე მერტეზაკერმა კინაღამ ავტოგოლი გაიტანა...

**ნაპოლი–დორტმუნდი 2:1**

**გოლები:** 1:0 იგუაინი (29), 2:0 ინსინიე (67), 2:1 სუნიგა (87-საკ. კარში)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლორენცო ინსინიე (ნაპოლი)

**იურგენ კლოპმა** სახე დაკარგაო - წერდა გერმანული პრესა გუშინ. ალბათ ყველამ ნახეთ, რა დღეში იყო დორტმუნდის ემოციური მწვრთნელი იმ მომენტში, როცა **გონსალო იგუაინმა** ანგარიში გახსნა. კლოპისგან გადარევებს ყველა მიჩვეულია, მაგრამ იმ მომენტში იურგენმა მართლაც სახე დაკარგა და უმჯობესია, ასე აღარ მოიქცეს ხოლმე. მეორე საკითხია ის, რომ გუშინ მთელი საფეხბურთო გერმანია კლოპზე ლაპარაკობდა - იურგენმა თავისი საქციელით „ბორუსიას“ ცუდი თამაში გადაფარა. თუმცა ეს გაძევებად დაუჯდა და დიდი შანსია, რომ უეფამ ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მისცეს.

შესაძლოა, დღემდე ვერ გაერკვიეთ, რამ ალაშფოთა იურგენი ასე ძალიან. საქმე იმაშია, რომ მეოთხე მსაჯმა **მატს ჰუმელსის** მოედანზე შეშვება დააგვიანა (ამ უკანასკნელს მანამდე სამედიცინო დახმარება ალმოუჩინეს), „ბორუსია“ საკმაოდ დიდხანს იყო კაცნაკლული და იგუაინმაც სწორედ ამ დროს გახსნა ანგარიში. ჰუმელსი მოედანზე რომ ყოფილიყო, შესაძლოა, არგენტინელს ის გოლი ვერ გაეტანა. ეს ვარაუდია და რაც შეეხება ფაქტებს: „ნაპოლიმ“ ძალიან ჭკვიანური, ზომიერად აგრესიული ფეხბურთი ითამაშა და წინა სეზონის ფინალისტს დამსახურებულად მოუგო.

**იურგენ კლოპი** („დორტმუნდის“ მწვრთნელი): *„ძალიან ცუდი საღამო გამოვიდა. ვერც ის ფეხბურთი ვითამაშეთ, რაც შეგვიძლია, ჩემი და ვაიდენფელერის გაძევებებმა კი საბოლოოდ მოგვშალა. ნერვები ვერ მოვთოკე და პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ. რომანის გაძევებაც ჩემი ბრალია - როცა მშვიდად ვართ, ასეთი რამ არ ხდება ხოლმე. გუნდს უკვე მოვუბოდიშე, ახლა კი ფანებსაც ბოდიშს ვუხდი. ჩემს ემოციურობას ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ ხანდახან უარყოფითი მხარეებიც აქვს. წარმომიდგენია, რას ფიქრობენ ჩემზე - აუცილებლად იტყვიან, გიჟიაო...“*

### G ჯგუფი

**ატლეტიკო–ზენიტი 3:1**

**გოლები:** 1:0 მირანდა (40), 1:1 ჰალკი (58), 2:1 არდა თურანი (64), 3:1 ბაპტისტაო (82)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კოკე (ატლეტიკო)

„ზენიტმა“ მადრიდში თამაში, რა თქმა უნდა, დაცვითი სტილით დაიწყო და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა პეტერბურგელებს პირველი ტაიმის მიწურულამდე კარგად გამოსდიოდათ, მე-40 წუთზე კი **კოკეს** კუთხურს **მირანდა** გამოეხმაურა და ანგარიში გახსნა. მიღებული გოლის შემდეგ რუსებმა აქტიურად შეუტიეს - 56-ე წუთზე **კერჟაკოვს** ხუთი მეტრიდან **კურტუამ** აუღო, ორ წუთში კი მადრიდელთა მეკარე **ჰალკის** დარტყმისას უკვე უძლური აღმოჩნდა. მიუხედავად გათანაბრებისა, „ზენიტმა“ აქტიური შეტევა განაგრძო და 62-ე წუთზე კერჟაკოვმა საჯარიმო დარტყმით კურტუას კარის ძელი შეაზანზარა. მაგრამ საბოლოო ჯამში „ზენიტი“ სითამამისთვის დაისაჯა - ჯერ **არდა თურანმა** იხეირა, მერე კი - **ლეო ბაპტიშტაომ**.

ამრიგად, „ატლეტიკომ“ დაგეგმილი სამი ქულა აიღო, ხოლო, რაც შეეხება „ზენიტს“: რუსულ კლუბს ცუდად არ უთამაშია და ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა შეუძლია.

**აუსტრია–პორტუ 0:1**

**გოლი:** 0:1 ლუჩო გონსალესი (56)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლუჩო გონსალესი (პორტუ)

ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა გამოცდილ „პორტუსთან“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მაინც წააგო. პირველ ტაიმში ავსტრიელები დაცვაში მყარად იდგნენ და პორტუგალიელებს საგოლე მომენტის შექმნის შანსი არ მისცეს. მეორე ნახევარში კი „ერნსტ-ჰაპელ-შტადიონზე“ „პორტუ“ გაცილებით უკეთ ათამაშდა და აქედან გამომდინარე, **ლუჩო გონსალესის** გოლს ლოგიკური ეთქმის.


მ,არკო შტრელერი

### H ჯგუფი

**მილანი–სელტიკი 2:0**

**გოლები:** 1:0 საპატა (82), 2:0 მუნტარი (85)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფილიპ მექსე (მილანი)

„სელტიკმა“ მილანი დიდხანს, ანერვიულა და უსამართლობა ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გლაზგოელები, შესაძლოა, ფრეს იმსახურებდნენ. „სელტიკს“ განსაკუთრებით კარგი მომენტები მეორე ტაიმში ჰქონდა და თუ შოტლანდიელებმა გოლი ვერ გაიტანეს, ეს პირველ რიგში **ფილიპ მექსეს** და **კრისტიან აბიატის** დამსახურებაა. შეხვედრის მიწურულს კი „როსონერის“ გაუმართლა: **საპატას** დარტყმა რიკოშეტის შემდეგ **ფორსტერის** კარში აღმოჩნდა, რის შემდეგაც გლაზგოელებმა ფარ-ხმალი დაყარეს და მეორე გოლიც მიიღეს.

**ბარსელონა–აიაქსი 4:0**

**გოლები:** 1:0 მესი (21), 2:0 მესი (53), 3:0 პიკე (69), 4:0 მესი (75)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

**ლეო მესი კრიშტიანო რონალდოს** არ ჩამორჩა და მის ჰეთთრიკს (სამშაბათს, „გალათასარაისთან“), არგენტინელმაც ჰეთთრიკით უპასუხა. „ბარსელონა“ მთელი მატჩის განმავლობაში მოწონების სიმაღლეზე იდგა, ტემპი ისე აკონტროლა როგორც სურდა და ისეთი ანგარიშით მოიგო, როგორითაც უნდოდა.

**გოტფრიდ ლენცი**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით









ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური

### A ჯგუფი

**ვალენსია–სუონსი 0:3**
**გოლები:** 0:1 ბონი (15), 0:2 მიჩუ (58), 0:3 დე გუზმანი (62)
**გაძევება:** რამი (10. ვალენსია)

**სტ. გალენი–ყუბანი 2:0**
**გოლები:** 1:0 კარანოვიჩი (56), 2:0 კარანოვიჩი (76)
**გაძევება:** კაბორე (93. ყუბანი)

### B ჯგუფი

**დინამო ზ.–ჩერნომორეცი 1:2**
**გოლები:** 1:0 ფერნანდესი (43), 1:1 ანტონოვი (62), 1:2 ჯა ჯეჯე (65)

**პსვ–ლუდოგორეცი 0:2**
**გოლები:** 0:1 ბეზიაკი (60), 0:2 მისიჯანი (74)

### C ჯგუფი

**ზალცბურგი–ელფსბორგი 4:0**
**გოლები:** 1:0 ალანი (36), 2:0 სორიანო (44-პენ), 3:0 სორიანო (69), 4:0 სორიანო (79)

**სტანდარდი–ესბიერგი 1:2**
**გოლები:** 0:1 ვან ბურენი (63), 1:1 მუიანგი (74), 1:2 ბაკენგა (95)

### D ჯგუფი

**ვარეგემი–უიგანი 0:0**

**მარიბორი–რუბინი 2:5**
**გოლები:** 0:1 კარადენიზი (23), 0:2 მარკანო (27), 1:2 მილეჩი (35), 1:3 ერიომენკო (69), 2:3 ფაჟიჩი (73), 2:4 რონდონი (90), 2:5 რიაზანცევი (94)

### E ჯგუფი

**ფიორენტინა–ფერეირა 3:0**
**გოლები:** 1:0 გ. როდრიგესი (30), 2:0 მატოში (67), 3:0 ჯ. როსი (76)

**პანდურიი–დნიპრო 0:1**
**გოლი:** 0:1 როტანი (38)
*ჯაბა კანკავამ (დნიპრო) 90 წუთი ითამაშა*

### F ჯგუფი

**აინტრახტი–ბორდო 3:0**
**გოლები:** 1:0 კადლეცი (4), 2:0 რუსი (16), 3:0 ჯაკპა (52)
**გაძევება:** ორბანი (61)

**მაქაბი თ.–აპოელ 0:0**

### G ჯგუფი

**დინამო კ.–გენკი 0:1**
**გოლი:** 0:1 გორიუსი (62)

**თუნი–რაპიდი 1:0**
**გოლი:** 1:0 შნოივლი (35)

### H ჯგუფი

**ფრაიბურგი–ლიბერეცი 2:2**
**გოლები:** 1:0 შუსტერი (22-პენ), 2:0 მეჰმედი (35), 2:1 კალიტვინცევი (67), 2:2 რაბუშიჩი (74)
**გაძევება:** გუედე (78. ფრაიბურგი), რიბალკა (91. ლიბერეცი)

**ეშტორილი–სევილია 1:2**
**გოლები:** 0:1 მაჩინი (59), 1:1 მიგელი (61), 1:2 გამეირო (77)

### I ჯგუფი

**ბეტისი–ლიონი 0:0**

**გიმარაეში–რიეკა 4:0**
**გოლები:** 1:0 აბდულაიე (36), 2:0 პლანგი (48), 3:0 მააზუ (68), 4:0 ანდრე (81)

### J ჯგუფი

**აპოლონი–ტრაბზონი 1:2**
**გოლები:** 1:0 სანგოი (18-პენ), 1:1 მალუდა (20), 1:2 ერდოღანი (86)

**ლაციო–ლეგია 1:0**
**გოლი:** 1:0 ერნანეში (53)

### K ჯგუფი

**შერიფი–ანჟი 0:0**
*გია გრიგალავამ (ანჟი) 25-ე წუთიდან ითამაშა*

**ტოტენჰემი–ტრომსო 3:0**
**გოლები:** 1:0 დეფო (21), 2:0 დეფო (29), 3:0 ერიქსენი (86)

# მესტალიას ჩამოუღამდა

## კანკავამ გამარჯვებით დაიწყო, გრიგალავამ ფრით, დვალიშვილმა სკამზე

### L ჯგუფი

**პაოკ–შახტიორი 2:1**
**გოლები:** 0:1 კანიასი (50-პენ), 1:1 ათანასიადისი (75), 2:1 ვუკიჩი (92)
**გაძევება:** პორიაევი (87. შახტიორი)

**მაქაბი ჰ.–ალკმაარი 0:1**
**გოლი:** 0:1 გუდმუნდსონი (71)

**19 სექტემბერს სტარტი აიღო ევროპალიგის მე-5 გათამაშების ჯგუფურმა ეტაპმა, 48 გუნდი ჩაება ბრძოლაში 24 საგზურისთვის, რაც პლეი ოფში თამაშის საშუალებას იძლევა.**

ყველამ ვიცით, რომ „ვალენსიასგან“ ახალ სეზონში ბევრს არ უნდა ველოდოთ, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო 48 მონაწილეს შორის საუკეთესო საკლუბო კოეფიციენტის მქონე გუნდის საცოდავი თამაში უელსურ „სუონსისთან“.

„ვალენსიას“ არც ის ამართლებს, რომ 80 წუთი 10 კაცით ითამაშა - მე-10 წუთზე **ვილფრიდ ბონისთან** უხეშობისთვის ფრანგი **ადილ რამი** გააძევეს, 4 წუთში კი ბონიმ ანგარიში გახსნა.

„ვალენსიასთან“ მოგების ყველა მთავარი შემოქმედი ბონის გარდა ზედმიწევნით კარგად იცნობს ესპანურ ფეხბურთს - მწვრთნელი **მიქაელ ლაუდრუპი**, მეორე გოლის ავტორი **მიგელ მიჩუ** და მესამე გოლის ავტორი **ჯონათან დე გუზმანი**. უელსელებმა **მიროსლავ ჯუკიჩის** გუნდს სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს - 3:0.

დღის კიდევ ერთი სენსაცია ბულგარეთის ჩემპიონის გამარჯვებაა ჰოლანდიაში - „ლუდოგორეცმა“ „პსვ ეინდჰოვენს“ „მშრალად“ მოუგო - 2:0.

გოლები **რომან ბეზიაკმა** და **ვირგილ მისიჯანმა** გაიტანეს. ეს რაზგრადული გუნდის ევროპალიგური დებიუტი გახლდათ, რადგან „ლუდოგორეცი“ ამ ტურნირზე ჩემპიონთა ლიგიდან გადმოერთო.

ალვნიშნავთ, „ზალცბურგის“ იოლ გამარჯვებას „ელფსბორგთან“. ავსტრიელთა 27 წლის ესპანელმა ფორვარდმა, წარსულში „ესპანიოლისა“ და „ბარსელონას“ ნევრმა, **ხონათან სორიანომ** ამ შეხვედრაში ჰეთთრიკი შეასრულა.

**ჯაბა კანკავასა** და **ალექსანდრე კობახიძის** (ტრავმა) „დნიპრომ“ სტუმრად მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა რუმინული „პანდურიი“. ჯაბამ 90 წუთი ითამაშა, ერთხელ კარში ზუსტადაც დაარტყა, სამჯერ დაჯარიმდა, ერთხელ კი ქართველის წინააღმდეგ დაარღვიეს თამაშის წესები.

ყაზანის „რუბინმა“ სტუმრად 5 გოლი გაუტანა „მარიბორს“, თუმცა მატჩს დაძაბული ეთქმოდა, რადგან ბოლო ორი გოლი რუსებმა 90 წუთის ამოწურვის შემდეგ გაიტანეს. „რუბინის“ განაცხადში არ ყოფილა ქართველი **საბა კვირკველია**.

ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში გერმანულმა „აინტრახტმა“ ქვა-ქვაზე არ დატოვა ფრანგული „ბორდოსგან“ - 3:0. შესანიშნავად ითამაშა „ფიორენტინამაც“, რომელმაც ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „პაკუშ ფერეირა“. შესანიშნავ ფორმაშია იტალიის ნაკრების ფორვარდი **ჯუზეპე როსი**, მის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია.

დაცვითი თამაში არჩია პოლონურმა „ლეგიამ“ რომში „ლაციოს“ წინააღმდეგ, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო - 0:1 (**ერნანეში**), ხოლო **ლადო დვალიშვილი** სათადარიგოთა სკამს არ გასცილებია. „ბეტისმა“ და „ლიონმა“ ერთმანეთს გოლები ვერ გაუტანეს. მახაჭყალის „ანჟი“ ტირასპოლში „შერიფს“ ესტუმრა (0:0), ამ შეხვედრაში 25-ე წუთზე **ეპურეანუს** ნაცვლად **გია გრიგალავა** ჩაერთო. იოლი გამარჯვებით დაიწყო ტურნირი მთავარმა ფავორიტმა „ტოტენჰემმა“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მიგელ მიჩუ

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფუტკარაძე ფორტუნამ დაინდო




ბუდაპეშტის „ლასლო პაპის სახელობის სპორტდარბაზში" გრძელდება მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც დღეს ბერძენ-რომაელებიც ჩაებმებიან, ოღონდ მხოლოდ ერთი წონა – 55 კილოგრამი. ჩვენგან დებიუტანტი **ბაჩანა ფუტკარაძე** იჭიდავებს, ვისაც არათუ მსოფლიოს ან ევროპის პირველობაზე, უცხოეთში რიგით ტურნირებზე ასპარეზობის გამოცდილებაც კი აკლია. წილისყრამაც თითქოს გაითვალისწინა მისი დებიუტანტობა და თავიდან შედარებით დაინდო – პირველ წრეში თავისუფალია, მეორეში კი თავისსავით უცნობ ეგვიპტელ **ჰაიტემ აჰმედ ფაჰმი მაჰმუდს** ხვდება. მასთან წარმატების შემთხვევაში მერვედფინალში უტიტულო პოლონელ **დავიდ ერსეტიჩსა** და ყაზახ **ნურსულთან ხალმურზაევს** შორის გამარჯვებული ელოდება. ყაზახიც დებიუტანტია და იქაურებს ამ წონაში წინა წლებშიც სერიოზული ჩავარდნა ჰქონდათ, თუმცა მათ ამ ბოლოს იმდენად მოუმატეს, ხალმურზაევი ჩამოსაწერი არაა. წესით, დასახელებულთაგან თითქოს ვინმესი არ უნდა გვეშინოდეს, მაგრამ ჩვენებურიც გამოუცდელია. აი, მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში კი ფუტკარაძეს სერიოზული გამოცდა ელის, რადგან იქ სავარაუდო მეტოქეებად სომეხი მსოფლიოს ვიცე და ევროპის ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **რომან ამოიანი**, უკრაინელი ევროპის რამდენიმეგზის მედალოსანი **ვუგარ რაგიმოვი** და წლეულს თბილისში, ევროპის პირველობაზე გამარჯვებული ბელარუსი მსოფლიოს ვერცხლის მფლობელი **ელბეკ ტაჟიევი** ელოდებიან. ბადის ამავე მხარესაა ჩინელი ფალავანიც, ოღონდ – დებიუტანტი და არა მათი მსოფლიოს პრიზიორი **შუჯინ ლი**.

ბუდაპეშტში ასპარეზობა დღესაც, ტრადიციულად, თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი



ვაჟა მარგველაშვილი (მარცხნივ) შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას შეეცდება

# კარგი წილი სარაევოში

დღეს სარაევოში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომელშიც თავდაპირველად სამი წონის ფალავნები იჭიდავებენ, თუმცა ჩვენ მხოლოდ ერთში გვეყოლება მონაწილე - 55 კგ-სა და 66-ში მწვრთნელებმა არავინ დააყენეს, 60-ში კი ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ვაჟა მარგველაშვილი** და **ლუხუმ ჩხვიმიანი** გამოვლენ.

მარგველაშვილს გაუმართლა და ქვეჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. ის ტურნირში მეორე წრიდან ჩაებმება ჰოლანდიელ **ხაიმე რაიხმაკერსთან** შეხვედრით, ჩხვიმიანს კი პირველივე წრეში იტალიელთა ევროპის მესამე პრიზიორი **მარია კარმინე დი ლორეტო** ერგო. თან ამ ჯგუფში უფროსთა ტურნირებში გამობრძმედილი რამდენიმე ფალავანიცაა. მაგალითად, უნგრელი **კრისტიან ტოტი**. სწორედ მას, ჩეხ **დავიდ პულკრაბეკსა** და ებრაელ **დანიელ ბენ დავიდის** სამეულში გამარჯვებული შეხვდება ჩხვიმიანს მერვედფინალში, თუ იტალიურ ბარიერს დასძლევს.

ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოსმედალოსანი **ფრიდონ გიგანი** (73) მეორე წრეში სომეხ **არტავაზ ჰოვსეპიანთან** იჭიდავებს. მის ჯგუფშია **ანრი ეგუტიძე** პორტუგალიიდან. ეს ქუთაისელი ბიჭი ჩვენმა ფედერაციამ ოფიციალურად გაუშვა პორტუგალიაში, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობს. მას ფინანსურად ვერ ეხმარებოდნენ და ანრიც თავისი ხარჯით დადიოდა შეჯიბრებებზე.

„მამლუქთა" სიმრავლეა პირველ ჯგუფშიც, სადაც ერთად მოხვდნენ **გიორგი რევაზიშვილის** ვაჟი **რომან მასტოპულოსი** საბერძნეთიდან და სამბოში მსოფლიოს ჩემპიონ **ვეფხია ავალიანის** შვილი **ტრისტან ავალიანი** საფრანგეთიდან.

პირველივე წრეში ძნელი ბრძოლა ელის **უშანგი მარგიანს** (81) რუს **ალან ხუბეცოვთან**, თუმცა ის ისედაც რთულ ჯგუფშია - მერვედფინალში გასვლის შემთხვევაში ერთ-ერთ სავარაუდო მეტოქედ ამ ასაკში ბერძენთა ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ალექსიოს ნტანაციდისი** ელოდება.

90 კილოგრამში ჭაბუკთა შორის ყველაფრის მომგები და ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი (ოღონდ, ქვედა წონაში) **ბექა ღვინიაშვილი** (შარშან ფინალი სწორედ ნტანაციდისთან წააგო) პირველ შეხვედრას მეორე წრეში გამართავს პოლონელ **პატრიკ ციეცომსკისთან**. ამ ბარიერის გავლის შემთხვევაში, შესაძლოა, კონტინენტის ბოლო პირველობის ბრინჯაოსმედალოსანს, ჰოლანდიელ **მაქს დე ვრეეზეს** დაეჭიდოს. ამავე წონაში **ლაშა ტაველური** პირველ ბრძოლას სლოვენიელ **ტადეი მულეცთან** გამართავს. მის ჯგუფშია ჰოლანდიელთა ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მიხაელ კორელიც**.

ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონი და ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორი **გურამ თუშიშვილი** (100) თავიდან ისვენებს, მისი მეტოქე კი ავსტრიელი **მაქსიმილიან ჰაგენდერისა** და შვედი **ბენიამინ სტოფელის** პაექრობაში გამოვლინდება. თუშიშვილსაც ფრიად გაუმართლა წილისყრაში და მის თანაწონელ **თორნიკე ოთინაშვილსაც** - ის თავიდან ლიტველ **როკას სიმონისს** ხვდება, მოგების შემთხვევაში კი ჰოლანდიელი **სხერედ მირლო** ელოდება.

თავიდან, ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ლევან მატიაშვილიც** ისვენებს, მასთან შესახვედრად კი უნგრელი **ბენდეგუზ დემეტერი** და იტალიელი **ნიკოლა ბაჩეტი** იჭიდავებენ. ვფიქრობთ, წილისყრაზე სამდურავი არც მატიაშვილს ეთქმის, ხოლო მეორე მძიმეწონოსანი **გიორგი ზაქარიაძე** პირველივე წრეში სერბ **ზარკო ცულუმთან** იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**

# ობიექტივიდან

სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატს ოთხი გუნდიღა შემორჩა. საქართველოს ნაკრებმა მასპინძელი ქვეყანა 10 სექტემბერს დატოვა. ალბათ, გაინტერესებთ, როგორი იყო რიგითი საევრობასკეტო დღე რიგითი ქართველი გულშემატკივრისთვის. ამაში ჩვენი ფოტოაპარატი დაგვეხმარება, რომელშიც დღის საინტერესო მოვლენები სრულად ჩაეტია.




დილას, სასტუმროდან გამოსულს, „მფრინავი" სანახაობა დამხვდა: ცელიეს ძველ უბანში საკალათბურთო მოედანი იყო მოწყობილი, სადაც ჯამბაზები საოცრებებს სჩადიოდნენ. ეს იყო ცელიეში გადაღებული პირველი ფოტო.




ქალაქში თამაშებზე მიმავალი გულშემატკივარი არ დაიკარგებოდა. ყოველ ნაბიჯზე საგზაო ნიშნებად საკალათბურთო წარწერები იყო დაყენებული.



გზად ასეთ გაფრთხილებასაც შევხვდებოდით.



„ზლატოროგ არენის" წინ ფირმა „ფრუქტალს" ფარი ჰქონდა დადგმული და მსურველებს წვრილ-წვრილი პრიზების მოგების შანსს აძლევდა. ფოტოზე „სოხუმის" მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელიაა, რომელმაც 6 საჯარიმოდან 5 ჩააგდო და გასაღებზე ჩამოსაკიდი საკალათბურთო ბურთი დაიმსახურა.

**ირაკლი თავაძე**



Time Line

# დანახული ევრობასკეტი



ევრობასკეტის სიმბოლო ლიპკოა, ცაცხვის ხე, რომელიც სლოვენიელთა წმინდა მცენარედ ითვლება. ლიპკოს ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას ყველგან შეხვდებოდით, დარბაზში თუ მის გარეთ, მოედანზე თუ ტრიბუნაზე.



ქართველი გულშემატკივრები ცდილობდნენ თავი ერთ ტრიბუნაზე მოეყარათ, რადგან სიმრავლით ბევრ მეტოქეს ვერ ალემატებოდნენ. ჟურნალისტი თენგიზ პაჭკორია ყოველთვის ქომაგთა რიგებში იყო და მისი მაისური მსოფლიოს ორ განუყრელ სიტყვას აცნობდა: Georgia და Sokhumi.



ეს ფოტო ცელიეს ციხეზეა გადაღებული, სადაც ძველ სამოსში გამოწყობილი თანამედროვე სლოვენიელები დაგვხვდნენ. კბილებამდე შეიარაღებულმა მეომარმა ჟურნალისტებიდან ერთი გაიხმო. სცენაზე პოლონელი გავიდა და ხმალი ისე დაიჭირა, მეტოქისგან „კომპლიმენტი" მიიღო - შენ სამზარეულოში უნდა ტრიალებდეო. პოლონელმა ჟურნალისტებმა ტრიბუნებიდან მიაძახეს - ჩვენი ნაკრებივით იბრძვიო.



პირველი თამაში პოლონეთის ნაკრებთან გვქონდა. მეორე პერიოდში მეტოქის მთავარი მწვრთნელი დირკ ბაუერმანი ემოციებს ვერ იკავებდა, არ იცოდა შეგირდებისთვის რა ეთქვა. ეს ამბავი მკაფიოდ გამოჩნდა პრესტრიბუნაზე დამონტაჟებულ ტელეეკრანზე.






საქართველო-პოლონეთის შემდეგ მოედანზე ჩეხეთისა და სლოვენიის ნაკრებები გამოვიდნენ. ჩეხ იან ვესელის ორი მშვენიერი გულშემატკივარი უჭერდა მხარს. არადა, ინტერნეტში მოვიძიე, იანს „გიორლფრენდი" უკვე ჰყავს.



ვიქტორ სანიკიძე და მარცინ გორტატი ასე ერთობოდნენ.



გართობა „აჩუკუდალათი" დასრულდა. ეს სიტუაცია რომ ვნახე, გავიფიქრე, კარგი იქნება, საქართველოს ნაკრები მომდევნო ეტაპზე თუ გავა და თან პოლონეთს ზურგით გაიყვანს-მეთქი. თუმცა...

- გორტატი ზურგიდან რომ ჩამოვიდა, მითხრა - ძლიერი მუხლები გქონიაო. იმ მომენტში პოლონელი ცენტრი მართლაც მსუბუქი მეჩვენა, ალბათ იმიტომ, რომ თამაშში ბოლომდე ვიყავი ჩართული და ენერგიაც ორმაგი მქონდა. არა მგონია, გორტატი ახლა რომ ავიკიდო, ისეთივე მსუბუქი აღმოჩნდეს, - როგორც მიხვდით, ეს ვიქტორ სანიკიძის სიტყვებია.




მოკლედ, თუ პოლონეთი საქართველოს ნაკრების წინაშე დაემხო (84:67 - ჩვენს სასარგებლოდ), იგივე გაიმეორეს სლოვენიელმა მოცეკვავე გოგონებმა ქართველი ქომაგის წინაშე.




სლოვენიელები თამაშის წინ ცდილობდნენ, რაც შეიძლება ორიგინალურად გამოწყობილიყვნენ. ამას ხომ მოფიქრება უნდა.




გაზის გასამართ სადგურზე ევრობასკეტის წინ დროშები ორად „ნოსტრადამუსმა" გაანაწილა: ერთ მხარეს ის გუნდები მოახვედრა, რომლების მოგვიანებით შემდეგ ეტაპზე გავიდნენ, მეორე მხარეს - საქართველო, პოლონეთი და ჩეხეთი, რომლებმაც ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქართველი მოჭადრაკე საფრანგეთის ჩემპიონია


ნინო მაისურაძე

ამას წინათ თბილისის ჭადრაკის სასახლეში, როგორც გაუწყეთ, ნონა გაფრინდაშვილის თასი გათამაშდა, რომელშიც 9 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის გახლდათ საფრანგეთში გათხოვილი ჩვენი თანამემამულე **ნინო მაისურაძე.**

შვიდი წლისამ ისწავლა ჭადრაკის თამაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის - **გოგი მაჭარაშვილის** ხელმძღვანელობით. თანატოლთა შორის საქართველოს პირველობების მრავალგზის პრიზიორმა 14-წლიანებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. 1997 წელს მოსკოვში ბაადურ ჯობავასთან ერთად საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში დიდოსტატების წინააღმდეგ ითამაშა. 1998 წელს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. ნიჭიერ მოჭადრაკეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ აქტიურ სპორტს ნელ-ნელა ჩამოშორდა.

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, - მითხრა თბილისის ტურნირის დამთავრების შემდეგ ნინო მაისურაძემ. - სწავლა და ჭადრაკის შეთავსება გამიჭირდა, ამიტომ ბრძენთა თამაშს დროებით შევეშვი.

**- რომელიც ლამის 8 წელიწადი გაგრძელდა.**

- დიახ. მიზეზი ის იყო, რომ 2003 წელს საფრანგეთში გავთხოვდი. ჯერ ოჯახი, მერე - სორბონის უნივერსიტეტში სწავლა. უბრალოდ, ჭადრაკისთვის დრო არ მრჩებოდა. მეგობრების რჩევით 2007 წელს პარიზის ერთ-ერთ ტურნირში ვითამაშე და გავიმარჯვე, მერე გულმა სხვა შეჯიბრებისკენაც გამიწია.

**- და საფრანგეთის ქალთა ნაკრებშიც ამოჩნდი...**

- 2008 წლიდან, რაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა მივიღე, ორჯერ ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სამჯერ კი ევროპის გუნდურ ჩემპიონატებზე ვიასპარეზე. 2012 წელს სტამბოლში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე საფრანგეთის ნაკრებმა მე-7 ადგილი დაიკავა, მე კი მე-2 დაფაზე მეხუთე ვიყავი. იმავე წელს „მიტროფას თასზე", ანუ ცენტრალური ევროპის ქვეყნების ჩემპიონატშიც მივიღეთ მონაწილეობა და პირველ დაფაზე მცირე ოქროს მედალი მოვიპოვე.

**- ოქრო წლეულს საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატზე დაიმსახურე.**

- მას შემდეგ, რაც აქტიურ ჭადრაკს დავუბრუნდი, ხორვატიაში ორ წრიულ ტურნირში ვიასპარეზე და ორჯერვე დიდოსტატის ნორმატივი შევასრულე. მერე საფრანგეთის ღია საერთაშორისო ტურნირში მესამე ბალი ავიღე და ქალთა შორის დიდოსტატობა შევასრულე. შარშანწინ საფრანგეთის ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავე - სოფი მიიემ გამისწრო, რომელმაც მაშინ მესამედ მოიპოვა ტიტული. სამაგიეროდ, წლეულს მე ვაჯობე. მიიემ მესამე ადგილი დაიკავა. მე და ახალგაზრდა ოსტატმა მატილდა კუნჟიუმ 11 შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულა მოვაგროვეთ. ტაიბრეიკებში 3:1 გავიმარჯვე და პირველი ადგილი დავიკავე.

**- ქართველ მოჭადრაკეებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

- ჩვენ დიდი ხანია ვმეგობრობთ. ბავშვობისას დაწყებული ურთიერთობა დღემდე გრძელდება. სხვადასხვა ტურნირზე ვხვდებით ერთმანეთს. საქართველოს, ტრადიციულად, ქალებში შესანიშნავი მოჭადრაკეები ჰყავს, ამიტომაცაა, რომ მანდილოსანთა ნაკრები ნებისმიერ შეჯიბრებაზე ფავორიტთა შორისაა. დღითი დღე იზრდება მსოფლიოში კონკურენცია, მაგრამ ქართველები არავის ჩამორჩებიან, ალბათ, იმიტომაც, რომ საქართველოში ჭადრაკი უწინდებურად უყვართ და მის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ, რაშიც ნონას თასის გათამაშებაზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ევროპის წლევანდელ გუნდურ ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ დროა, ამიტომ მცირეწლოვან შვილთან ერთად თბილისში ცოტა ხანს მშობლებთან დავრჩები და იმ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვისაც აქ მოვემზადები.

ვაჟა დანელია

# სხვაობა მხოლოდ 0,5 ქულაა

ქართველი დიდოსტატი **მერი არაბიძე** 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე წარმატებით ასპარეზობს. გუშინ მე-7 ტურში მან შავი ფიგურებით ყაზახეთის საუკეთესო ახალგაზრდა მოჭადრაკე დინარა სადუაკასოვას 29-ე სვლაზე შეაწყვეტინა წინააღმდეგობა და 5,5 ქულა მოაგროვა. არაბიძეს ნახევარი ქულით უსწრებს ერთპიროვნული ლიდერი ირინა ბულმაგა (რუმინეთი), რომელმაც გუშინ, ასევე, შავებით აულია მედინას (ინდონეზია) აჯობა. ლიდერთა ჯგუფიდან შედეგიანად ითამაშეს ალინა კაშლინსკაიამ (რუსეთი) და დეიზი კორიმ (პერუ) - მათ, შესაბამისად, ვან იუე და ჟაო მო (ორივე - ჩინეთი) დაამარცხეს. ასე რომ, 7 ტურის შემდეგ 6 ქულით ბულმაგა მეწინავეობს, არაბიძეს, კაშლინსკაიას, კორის 4,5-4,5 ქულა აქვთ. **ანა კუჭავა** ჰუნგ ნგუენს (ვიეტნამი) დაუზავდა და 4 ქულას მოუყარა თავი.

ვაჟებში **ზურაბ ჯავახაძემ** გუშინ სალეხ სალემთან (არაბთა გაერთიანებული საამიროები) წააგო. აქ გამოირჩევა ტურნირის რეიტინგფავორიტი იუ იანი (ჩინეთი) - მე-7 ტურში შავი ფიგურებით იური ელისეევს (რუსეთი) მოუგო და 6,5 ქულით ისევ გათამაშების ცხრილს უდგას სათავეში. 6 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა დას დევაშის (ინდოეთი) მძლეველმა ალექსანდრ იპატოვმა (თურქეთი). საჰაი გროვერი, სეტურამანი (ორივე-ინდოეთი) ხორხე კორი (პერუ) და პოია იდანი (ირანი) 5.5-5.5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფენ.

მსოფლიოს პირველობის მონაწილეები დღეს დაისვენებენ, ხვალ კი მე-8 ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# შაფათავა ნახევარფინალშია


სოფიო შაფათავა

თბილისელი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** წარმატებით განაგრძობს წინსვლას ბათუმის ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ერთეულთა თანრიგში. მე-6 ნომრად განთესილმა ჩვენიანმა გერმანელების - ქრისტინა შაკოვეცისა და ანა ცაიას ძლევის შემდეგ გუშინ მე-3 ნომერ რუსს - ირინა ხრომაჩევას დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:4, 6:3 და ნახევარფინალში ტურნირის რეიტინგფავორიტ ალექსანდრა პანოვას (რუსეთი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა სლოვენიელი დალილა იაკუპოვიჩი ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:3. მეორე ნახევარფინალში ალიაქსანდა სასნოვიჩი (ბელარუსი, 8) და კატერინა კოზლოვა (უკრაინა, 2) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. ბელარუსმა მეოთხედფინალში უკრაინელი ვალენტინა ივახნენკოს (4) წინააღმდეგობა დასძლია - 3:6, 7:6, 6:4, ხოლო უკრაინელს, პირიქით, ბელარუსი ილონა კრემენი (54) დანებდა - 4:6, 2:6.

წყვილებში ნახევარფინალური პაექრობები გაიმართა: ალიონა ფომინა (უკრაინა), ქრისტინა შაკოვეცი (გერმანია) - მისა ეგუჩი, აკიკო ომაე (იაპონია, 3) 7:5, 6:4, ვალენტინა ივახნენკო, კატერინა კოზლოვა (უკრაინა, 2) - სოფიო შაფათავა, **ეკატერინე გორგოძე** (საქართველო) 7:5, 4:6, 10:8. ფინალში ითამაშებენ ფომინა შაკოვეცი - ივახნენკო, კოზლოვა.

ვაჟა დანელია

# წყვილებში პირველი, ერთეულებში მეორე


ანა ტატიშვილი

ალბუკერკის (აშშ) კორტებზე გუშინ ორჯერ შევიდა ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** და ორჯერვე თავაწეულმა დატოვა იქაურობა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური 75.000-იან ქალთა საერთაშორისო ტურნირზე წყვილებში მასპინძელ ირინა ფალკონისთანაა შეამხანაგებული და ასპარეზობის რეიტინგფავორიტია. გუშინ პირველ წრეში ამ დუეტმა ამერიკელებს - ჩიე-იუ ჰსუს და ნიკოლე მელიჩარს სძლია 7:5, 7:6 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მარია-ფერნანდა ალვეშსა (ბრაზილია) და ლენკა ვიენეროვას (სლოვაკეთი) გამოცდის. ბრაზილიურ-სლოვაკურმა ტანდემმა შეჯიბრების სტარტზე ტამირა პაშეკსა (ავსტრია) და ალისონ რისკეს (აშშ) დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:3, 2:6, 10:4.

ნუხელ ტატიშვილი, რომელმაც ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში მარია სანჩესს (აშშ) აჯობა, პაშეკს დაუპირისპირდა. თავიდან ავსტრიელი დაწინაურდა 4:1, მაგრამ ჩვენებურმა მოახერხა შეხვედრაში გარდატეხის შეტანა და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო, მერე მეტოქეებმა თითო გეიმი გაცვალეს, საბოლოოდ კი სეტი ტატიშვილის გამარჯვებით დამთავრდა - 7:5. მეორე ხელის საწყის ორ გეიმში ფორტუნა ისევ პაშეკის მხარეს იყო, თუმცა ქართველმა ჩოგბურთელმა აქაც მალევე შეძლო მობილიზება და ზედიზედ 6 გეიმში გაანბილა მოწინააღმდეგე - 6:2. მეოთხედფინალში ანა შტეფანი დუბროიჩის (კანადა) მძლეველ (6:4, 6:2) კრისტინა ბაროიშს (გერმანია) შეხვდება.

ვაჟა დანელია

# მასპინძელს სძლია


ბელა ხოტენაშვილი

ტაშკენტში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის მე-3 რაუნდის მე-2 ტურში წარმატებით ითამაშა ქართველმა დიდოსტატმა **ბელა ხოტენაშვილმა,** რომელმაც 52-ე სვლაზე უზბეკ **ნაფისა მუმინოვას** აჯობა. ისევ იყოჩაღა ინდოელმა **ჰამფი კონერუმ** - შავი ფიგურებით სომეხ **ელინა დანიელიანს** სძლია. ასევე, შავებით ჟაო სიუემ (ჩინეთი) მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ **ალექსანდრა კოსტენიუკს** (რუსეთი) 57-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. დანარჩენ სამ შეხვედრაში დაზავდნენ: **ოლგა გირია** (რუსეთი) - **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი), **ცზიუ ვენძიუნი** (ჩინეთი) - **კატერინა ლაგნო** (უკრაინა), **გულისხან ნახბაიევა** (ყაზახეთი) - **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი).

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ კონერუ და ჟაო სიუე დაწინაურდნენ. მომდევნო ადგილებზე არიან: დრონავალი, სტეფანოვა - 1,5-1,5, ხოტენაშვილი, გირია, ლაგნო - 1-1, ნახბაიევა, ვენძიუნი, დანიელიანი, კოსტენიუკი - 0,5-0,5, მუმინოვა - 0 ქულა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: კონერუ - კოსტენიუკი, ლაგნო - დანიელიანი, სტეფანოვა- ვენძიუნი, დრონავალი - გირია, მუმინოვა - ნახბაიევა, ჟაო სიუე - ხოტენაშვილი.

ვაჟა დანელია

სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი

# გაგამარუს ცუდი მესამედი

სექტემბრის ბაშოზე მესამედი მიილია და ელიტაში მოჭიდავე ერთადერთი ქართველის მდგომარეობა რთულია - მე-9 მაეგაშირა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** 1-4 ბალანსით აუტსაიდერთა შორისაა.

მისი მორიგი მეტოქე **ტაკეკაძე** იყო, პირველი დაჯახების შემდეგ ჩვენებურს იაპონელი გამოეცალა, თუმცა მსაჯებმა ხელახლა დანიშნეს ორთაბრძოლა. ამჯერად, ტაკეკაძემ ბოლო მომენტში სუკუინაგეს ილეთი გამოიყენა და ისე იმარჯვა.



26 წლის ქართველის მომავალი მეტოქე 30 წლის **ტოიონოშიმაა,** რომელიც ამჟამად მე-7 მაეგაშირაა და ბაშოზე ასევე 1-4 ბალანსით ასპარეზობს, თუმცა გაგამარუსთვის ტოიონოშიმა ძალიან უხერხული მეტოქეა - 6-ვე ორთაბრძოლა მოუგო.

**V დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-აოიამა (კატასუკაში), ჰარუმაფუჯი-ტაკაიასუ (ოკურიდაში), კისენოსატო-ტაკარაფუჯი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-იკიოი (იორიკირი), კაკურიუ-შოჰოზანი (ცუკიოტოში), გოეიდო-კოტოოშუ (უვატენაგე), ტაკეკაძე-**გაგამარუ** (სუკუინაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

5-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), იოშიკაძე (მაეგაშირა 8)... 1-4: **გაგამარუ** (მ 9).

**VI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი, ჰაკუჰო-ტოჩიოძანი, კაკურიუ-გოიედო, კოტოშოგიკუ-ტაკაიასუ, კოტოოშუ-შოჰოზანი, კისენოსატო-აოიამა, **გაგამარუ**-ტოიონოშიმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ძალოსნობა

# ბალინში შვიდეულით

ესტონეთის დედაქალაქში ხვალ საზეიმოდ გაიხსნება ახალგაზრდა და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები შვიდი სპორტსმენით იასპარეზებს. ოცწლიანებში ძალებს მოსინჯავენ **რამინ შამილიშვილი** (აჭარა, 62 კგ), **შოთა მიშველიძე** (ქუთაისი, 69), **ირაკლი გაბრიჭიძე** (საჩხერე, 77), **ზურიკო თავაძე** (ქუთაისი, 77), **ვილიამინ ალექსიძე** (აჭარა, 105) და ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე** (საჩხერე, +105), 23-წლამდელებში კი ერთადერთი მონაწილე გვეყოლება - 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებისთვის **გიორგი ლომთაძე** (ქუთაისი) იბრძოლებს.

ვაჟა დანელია

თარიღები და მოვლენები

**20-22 სექტემბერი**

**20. 1944.** დაიბადა **ზორბეგ ებრალიძე** - ფეხბურთი

**20. 1962.** დაიბადა **ჯემალ მჭედლიშვილი** სამბო

**20. 2002.** თბილისის „დინამომ" უეფას თასის პირველი რაუნდის პირველი მატჩი 2:3 წააგო ჩეხეთის ლიბერეცის „სლოვანთან"

**20. 2007.** ბაქოში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე **ოთარ თუშიშვილმა** (66 კგ) მე-3 ადგილი დაიკავა

**21. 1938.** თბილისის „დინამომ", ფეხბურთში საბჭოთა კავშირის IV ჩემპიონატში ხარკოვის „სპარტაკი" 7:1 დაამარცხა

**21. 1975.** დაიბადა **გრიგოლ (გია) ლაბაძე** - რაგბი

**22. 1921.** დაიბადა **გია ნადარეიშვილი,** საჭადრაკო კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1991 წელს

**22. 1966.** თბილისის „დინამოს" ფორვარდმა **ილია დათუნაშვილმა** საკავშირო პირველობის მატჩში ერევნის „არარატს", მეორე ტაიმის 26 წუთში 5 გოლი გაუტანა.

**22. 1971.** დაიბადა **მამუკა კურდღელაშვილი** სამბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ფავორიტთა დამაჯერებელი გამარჯვება

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ა“ ლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა - მოლოდინისამებრ ფავორიტებმა იოლად დაამარცხეს მეტოქეები და კიდევ უფრო გაიმყარეს პოზიციები სატურნირო ცხრილში.

„ა“ ჯგუფის ლიდერმა „აკადემიამ“ თბილისურ დერბიში ადვილად გადალახა „ხულიგანას“ წინააღმდეგობა და მშრალი ანგარიშით გამარჯვებასთან ერთად (38:0) ბონუსქულაც ირგუნა მეტოქეზე სამი და მეტი ლელოს გატანისათვის. ამავე ჯგუფში მეოთხეადგილოსანი „არმია“ გათამაშების აუტსაიდერ იმერეთის „ჭიათურას“ ესტუმრა და 19:3 დაამარცხა მასპინძლები.

უაღრესად საინტერესო უნდა გამოდგეს მომდევნო ტური, როდესაც მესამეადგილოსანი „ხულიგანა“ მეორე პოზიციაზე მყოფ რუსთავის „ხარებს“ უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში კვლავ აქტიურად ჩაერთვება ნახევარფინალის საგზურებისათვის ბრძოლაში.

დაძაბული ბრძოლაა „ბ“ ჯგუფშიც, სადაც მომდევნო ეტაპზე გასვლაზე რეალურ პრეტენზიას ერთბაშად სამი გუნდი გამოთქვამს: „ჯიქები“, „ქუთაისი 1“ და „ლოკომოტივი“. XII რაუნდში სამივე მათგანმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია და კიდევ უფრო გაზარდა ქულათა სხვაობა ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებთან. „ლოკომოტივმა“ „ჯვაროსნები“ ყველა სარაგბო ასპექტში დაჩაგრა და 69:3 გაანადგურა, „ჯიქებმა“ ბოლოადგილოსან „წიქარას“ აჯობეს 56:0, ხოლო „ქუთაისმა“ გასვლითი მატჩი მოიგო ადიგენში - დაამარცხა რა ადგილობრივი „ტაო“ 31:7. მეოთხეადგილოსანი „არმაზი“ მეხუთე ადგილზე მყოფ „ლელოს“ დაუპირისპირდა, 31:10 დაამარცხა მეტოქე, თუმცა ბონუსქულა ვერ ირგუნა. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე 6 ტურია დარჩენილი, ჯგუფს სათავეში „ჯიქები“ უდგას 41 ქულით, მეორე პოზიციაზე „ქუთაისია“ 37, თუმცა მათ 2 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული (8), ქულათა იმავე რაოდენობით მესამეა „ლოკომოტივი“. ნახევარფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების მიზერულ შანსს ინარჩუნებენ „ჯიქები“ და „ლელო“.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**XII რაუნდი**

ჭიათურა - არმია 3:19; ხულიგანა - აკადემია 0:38; ჯვაროსნები - ლოკომოტივი 3:69; წიქარა - ჯიქები 0:56; არმაზი - ლელო 31:10; ადიგენი - ქუთაისი 7:31

**სატურნირო მდგომარეობა**

**A ჯგუფი**

1. აკადემია - 36 ქულა; 2. ხარები - 28; 3. ხულიგანა - 22; 4. არმია - 21; 5. ყოჩები - 19; ვეფხვები - 4; იმერეთი - 2;

**B ჯგუფი**

1. ჯიქები - 41 ქულა; 2. ქუთაისი1 - 37; 3. ლოკომოტივი - 37; 4. არმაზი - 28; 5. ლელო - 21; 6. ჯვაროსნები - 6; 7. ტაო - 5; 8. წიქარა - 5;

**XII რაუნდი**

ლელო - წიქარა; ჯიქები - ჯვაროსნები; ქუთაისი - არმაზი; არმია - ყოჩები; რუსთავი - ხულიგანა; აკადემია - ჭიათურა



ხულიგანა-აკადემია

# ქუთაისი 2 და ხარები ლიდერობენ

ჭაბუკთა B ლიგის რეგულარული გათამაშება ნელ-ნელა დასასრულისკენ მიიწევს. მესამე ეტაპის მეორე ტურის მატჩებში მოწინავე პოზიციებზე მყოფმა გუნდებმა კიდევ უფრო გაზარდეს მოპოვებული უპირატესობა და დიდი ნაბიჯიც გადადგეს ნახევარფინალისაკენ.

„ნ“ პულში „ქუთაისი 2“- მა მალთაყვის სტადიონზე 50:7 მოუგო „ფოთს“ და ჯგუფს სათავეში ჩაუდგა 10 ქულით, ხოლო „არმიამ“ 16:8 აჯობა „აკადემიას“ და 9 ქულით მეორე პოზიციაზე დამკვიდრდა. აკადემიკოსებს და ფოთელებს 2 ტურის შემდეგ ჯერჯერობით ქულაც არ მოუპოვებიათ.

„ო“ პულში დაგეგმილი გამარჯვება იზეიმა კიდევ ერთმა იმერულმა კლუბმა - „ქუთაისი 3“-მა ანგისას სტადიონზე, საკმაოდ დაძაბულ შეხვედრაში აჯობა „ბათუმს“ 24:14. რუსთავის „ხარებმა“ კი ახალგახსნილ სარაგბო ბაზაზე წარმატებაზე ფიქრის არანაირი შანსი არ დაუტოვეს „ლოკომოტივს“, მოუგეს რა მეტოქე 41:0 და ბონუს ქულაც ირგუნეს, რამაც საშუალება მისცა მათ ერთპიროვნული ლიდერობა მოეპოვებინათ ჯგუფში 10 ქულით, ქუთაისლები მათ 1 ქულით ჩამორჩებიან, ხოლო „ბათუმი“ და „ლოკომოტივი 1“ კვლავ უქულებოდ რჩებიან.

**მესამე ეტაპის II ტური**

**N პული**

| | |
|---|---|
| ფოთი - ქუთაისი 2 | 7:50 |
| არმია - აკადემია | 16:8 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი2 - 10 ქულა; 2. არმია - 9; 3. არმია - 0; 4. ფოთი -0;

**O პული**

| | |
|---|---|
| ბათუმი - ქუთაისი 3 | 14:24 |
| რუსთავი - ლოკომოტივი | 141:0 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხარები - 10 ქულა; 2. ქუთაისი3 - 9; 3. ბათუმი - 0; ლოკომოტივი1 - 0;

**მესამე ეტაპის III ტური**

აკადემია - ფოთი; ქუთაისი2 - არმია; ლოკომოტივი1 - ბათუმი; ქუთაისი3 - რუსთავი

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბარბაქაძემ**

შემოდგომის ტესტ-მატჩები



# ახალზელანდიელთა პირველი ევროპული ტურნე და საშემოდგომო ტესტები

ნოემბრიდან მსოფლიო რაგბის სამყარო ერთი თვით სანაკრებო ბატალიებზე გადაერთვება, „4 ერის“ გათამაშების წარმომადგენლები (ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, არგენტინა) ბებერ კონტინენტს ესტუმრებიან და ტესტ-მატჩთა სერიას გამართავენ წამყვან ევროპულ ნაკრებებთან.

თავის მხრივ საქართველოს ნაკრებს 3 უმნიშვნელოვანესი მატჩის ჩატარება მოუწევს, „ბორჯღალოსნები“ აშშ-ის, კანადის და სამოის ეროვნულ გუნდებს უმასპინძლებენ. სამივე შეხვედრაში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენს ნაკრებს მსოფლიო რეიტინგში სერიოზული წინსვლა გარანტირებული ექნება.

სარაგბო ტესტ-მატჩთა ისტორია ოფიციალურად 1905 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც უკვე დაარსებული იყო სხვადასხვა ქვეყნების სარაგბო ფედერაციები: ახალი ზელანდიის 1905/06 წლის ნაკრებმა გადმოლახა ოკეანე და ტესტ-მატჩთა სერია მოაწყო ინგლისში, თუმცა XIX საუკუნის მიწურულსაც იყო ერთი სარაგბო ტურნე, რომელიც ისტორიას შემორჩა.

1888 წელს, ახალი ზელანდიის ქალაქ ნეიპირში, ენთუზიაზმით და რაგბის სიყვარულით გაჯერებულ სპორტსმენთა ჯგუფი შეიკრიბა, რომელთაც სურდათ გადაეკვეთათ ავსტრალიის კონტინენტის საზღვრები და საკუთარი სპორტული ამბიციები ევროპაში გამოეცადათ. თავდაპირველად გუნდს სახელად „მაორები“ შეურჩიეს, თუმცა დიდი ბჭობის შედეგად The New Zealand Native Football Respesentatives დაირქვეს. Native - აღნიშნავდა, რომ გუნდის ყველა წევრი ახალ ზელანდიაში გახლდათ დაბადებული და მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდა.

გუნდი ინტენსიურ მზადებას შეუდგა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მათ ჩანაფიქრს არცთუ ისე პერსპექტიულად მიიჩნევდა, რადგან თვლიდნენ, რომ The New Zealand Native Football Respesentatives საოცრად მოსაწყენ და ერთფეროვან რაგბის თამაშობდა. ამ ფაქტორმა კიდევ უფრო გაზარდა მორაგბეთა მოტივაცია და მათ კიდევ უფრო დიდი მონდომებით განაგრძეს ვარჯიში. უკვე 1 წლის შემდეგ იგივე საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა გუნდის სათამაშო სტილს. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ: „ბრწყინვალეა, შესანიშნავია. აი რა კარგი შედეგი შეიძლება მოიტანოს უდიდესმა მონდომებამ და დიდმა სათამაშო პრაქტიკამ.“

1988 წლის სექტემბერში მაორთა გუნდმა დატოვა საკუთარი ქვეყნის საზღვრები და გეზი ლონდონისაკენ აიღო... ისინი მშობლიურ ოკლენდში 11 თვის შემდეგ ლეგენდარული მოთამაშეების სტატუსით დაბრუნდნენ.

დიდ ბრიტანეთში გამართული პირველი ტურნეს ფარგლებში გუნდმა RUGBY UNION-ის წესებით 107 მატჩი გამართა და 78 შემთხვევაში გამარჯვებულმა დატოვა მოედანი, პლუს 8 შეხვედრა ავსტრალიური წესებით ითამაშა, ხოლო ორჯერ სოკერშიც სცადა ბედი.

1889 წლის 17 თებერვალს მაორთა გუნდი შესანიშნავი განწყობით ხვდებოდა ინგლისის ნაკრებთან გასამართ უმნიშვნელოვანეს ტესტ-მატჩს: გასული 8 დღის განმავლობაში მათ ხომ ირლანდიისა და უელსის ეროვნული გუნდები ჰყავდათ დამარცხებული.

ქალაქ ბლექჰიტში გამართულ შეხვედრას **როულენდ ჰილი** მსაჯობდა (დიდი ხნის განმავლობაში ინგლისის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი; მოგვიანებით მისი სახელი თვიქნემის ერთ-ერთ კარიბჭეს ეწოდა), რომელმაც ყველანაირი ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენა, რათა ახალზელანდიურ გუნდს ეს შეხვედრა წაეგო. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე არბიტრმა ორჯერ ლელო არ ჩაუთვალა სტუმრებს, ორივე შემთხვევაში მიზეზად ბურთის ჩათვლის მოედანში დამიწების მომენტის ვერდანახვა მოიყვანა. თანაბარ ბრძოლაში მიმდინარე მატჩის მეორე ნახევარში, მაორთა კაპიტანმა **თომას ელისონმა** ტრავმა მიიღო და სანამ იგი თანაგუნდელებს სტადიონის ფარგლებს გარეთ გაჰყავდათ, ინგლისელმა **ფრენკ ევერშედმა** დრო იხელთა და ლელო დადო, რომელიც რეფერიმ, რაღა თქმა უნდა, ჩათვალა. სტუმრებმა პროტესტი გამოთქვეს და აღარ აპირებდნენ შეხვედრის გაგრძელებას, თუმცა საბოლოოდ გადაიფიქრეს, ჩაამთავრეს მატჩი და 0:7 წააგეს.

ამ შემთხვევიდან 2 დღეში ინგლისის რაგბის ფედერაციამ წერილობით ოფიციალურად მოუხადა ბოდიში ახალზელანდიელებს ცუდი მსაჯობისთვის და ამით კონფლიქტიც ამოიწურა.

**P.S.** ერთ-ერთი ვერსიით სწორედ ამ ტურნეს დროს დაიბადა ჰაკას შესრულების იდეა, რომელიც მოგვიანებით ახალიზელანდიელი მორაგბეების სავიზიტო ბარათად იქცა მთელ მსოფლიოში.




## 2013 წლის შემოდგომის სანაკრებო ტესტ-მატჩები

**I კვირა (2-3 ნოემბერი)**

იაპონია - ახალი ზელანდია
ინგლისი - ავსტრალია
კანადა - მაორთა ნაკრები (ახალი ზელანდია)

**II კვირა (9 ნოემბერი)**

იტალია - ავსტრალია
ინგლისი - არგენტინა
შოტლანდია - იაპონია
უელსი - სამხრეთ აფრიკა
ირლანდია - სამოა
საფრანგეთი - ახალი ზელანდია
ა.შ.შ - მაორთა ნაკრები (ახალი ზელანდია)
ჩილე - ესპანეთი
**საქართველო - კანადა**
პორტუგალია - ფიჯი
რუმინეთი - ტონგა

**III კვირა (15-17 ნოემბერი)**

ბრაზილია - პორტუგალია
რუსეთი - იაპონია
იტალია - ფიჯი
ინგლისი - ახალი ზელანდია
უელსი - არგენტინა
საფრანგეთი - ტონგა
ირლანდია -ავსტრალია
**საქართველო - აშშ**
რუმინეთი - კანადა
ურუგვაი - ესპანეთი
შოტლანდია - სამხრეთ აფრიკა
ბარბაროსები (საფრანგეთი) - სამოა

**IV კვირა (22-24 ნოემბერი)**

უელსი - ტონგა
რუსეთი - აშშ
იტალია - არგენტინა
შოტლანდია - ავსტრალია
საფრანგეთი - სამხრეთ აფრიკა
**საქართველო - სამოა**
პორტუგალია - კანადა
რუმინეთი - ფიჯი
ესპანეთი - იაპონია
ირლანდია - ახალი ზელანდია

**V კვირა (30 ნოემბერი)**

ბარბაროსები (მსოფლიო) - ფიჯი
უელსი - ავსტრალია

ფორმულა 1


ფეტელი სინგაპურში

# უქმეების ანონსი

მომავალ უქმეებზე ავტოსპორტის სამყაროში მთავარი მოვლენა სინგაპურის ღამის რბოლაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეტაპი ტროპიკებში იმართება, სინგაპურში პილოტები არასოდეს გამოსულან წვიმის ქვეშ. ამჯერადაც, სინოპტიკოსები ნალექს არ ვარაუდობენ.

ეტაპის ფავორიტი აშკარაა, რადგან წინა წლებში "რედ ბულის" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** აქ ორი გამარჯვება მოიპოვა და ერთხელ მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ "მერსედესის" პილოტები, რომლებიც ამ სეზონში შესანიშნავად გამოდიან ნელ ტრასებზე.

**სინგაპურის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** სინგაპური
**წრის სიგრძე:** 5 065 მ
**წრის რეკორდი:** 1:45,599 (კიმი რაიკონენი, 2008)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (Red Bull) - 222 ქულა
2. ალონსო (Ferrari) - 169
3. ჰემილტონი (Mercedes) - 141
4. რაიკონენი (Lotus) - 134
5. უებერი (Red Bull) - 130
6. როსბერგი (Mercedes) - 104
7. მასა (Ferrari) - 69
8. გროსჟანი (Lotus) - 57

**უქმეების განრიგი**

20 სექტემბერი, 14:00 - I პრაქტიკა
20 სექტემბერი, 17:30 - II პრაქტიკა
21 სექტემბერი, 14:00 - III პრაქტიკა
21 სექტემბერი, 17:00 - კვალიფიკაცია
22 სექტემბერი, 16:00 - რბოლა

ამბები

## ფერარი ნებდება?

"ფერარის" ხელმძღვანელმა სტეფანო დომენიკალიმ აღიარა, რომ მისი გუნდი ახლოა იმასთან, რომ თავისი რესურსი მთლიანად მიმართოს 2014 წლის ბოლიდის შესაქმნელად და აღარ გააგრძელოს ბრძოლა ამ სეზონის ტიტულისთვის.

*"სინგაპურის რბოლის შემდეგ შევაფასებთ სიტუაციას და გადავწყვეტთ, რა გავაკეთოთ. უნდა ვიყოთ რეალისტები და გავაანალიზოთ - რაში შეიძლება ვიყოთ საუკეთესონი მომავალ რბოლებში.*

*ასე რომ, თუ სინგაპურში ლიდერთან ჩამორჩენა გაიზრდება, უაზრობა გახდება იმაზე ფიქრი, რომ დროის 0.1 წამით გაუმჯობესება საკმარისი იქნება "რედ ბულთან" მიახლოებისთვის.*

*მოკლედ, გადაწყვეტილებას მივიღებთ სინგაპურის გრანპრის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ბოლომდე არ შევაჩერებთ მუშაობას, რადგან გვინდა კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილისთვის ვიბრძოლოთ"*, - ამბობს დომენიკალი.

## რაიკონენი: წავედი ფულის გამო

„ლოტუსის" პილოტმა **კიმი რაიკონენმა** განაცხადა, რომ ფინანსური ფაქტორი გახდა მისი „ფერარიში" გადაბარგების მთავარი მიზეზი.

როგორც იცით, ფინელი პილოტი, რომელიც ორი წელია „ლოტუსში" გამოდის, 2014 წელს „ფერარიში" გადავა და **ფერნანდო ალონსოს** პარტნიორი გახდება. პრესის ინფორმაციით, „ლოტუსმა" პრემიალური თანხების გადახდა დაუგვიანა მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონს.

*„მე მიყვარს რბოლა - ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც აქ ვიმყოფები და მნიშვნელობა არ აქვს, რომელ გუნდში გამოვალ. მიზეზები, რის გამოც ფულს არ მიხდიდნენ, თქვენ შეიძლება გუნდში დააზუსტოთ, მაგრამ მე „ლოტუსიდან" მხოლოდ ფულის გამო მივდივარ - ვერ ვიღებდი აქ კუთვნილ ხელფასს. სამწუხარო მომენტია, მაგრამ დარჩენილ ბრძოლებში მაქსიმალურად მოვინდომებ, რათა გუნდს დავეხმარო"*, - განაცხადა რაიკონენმა.

## მაკლარენი მომავალზე ფიქრობს

ბრიტანული საჯინიბოს "მაკლარენის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯონათან ნილმა** აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში გუნდი აპირებს, შანსი მისცეს ორ ახალგაზრდა პილოტს - **კევინ მაგნუსენსა** და **სტოფელ ვანდორნს**. მისი სიტყვებით, ამ პილოტებთან დაკავშირებით გუნდს შორსმიმავალი დიდი გეგმები აქვს.

*"დეტალებზე ლაპარაკს არ ვაპირებ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ დღეს "რენოს" მსოფლიოს სერიის საუკეთესო პილოტებთან - კევინ მაგნუსენთან და სტოფელ ვანდორნთან დაკავშირებით, მომავალში დიდი გეგმები გვაქვს*, - მოჰყავს Autosport-ს ნილის სიტყვები. – *ვფიქრობ, პასუხისმგებლები ვართ იმაზე, რომ ამ ორმა შესანიშნავმა პილოტმა გაიკვლიოს გზა ფორმულა 1-ში. ბოლო შედეგებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ველოდებით, რომ ეს ბიჭები მოხვდებიან "დიდ ცირკში"*.

# როგორ ანათებენ სინგაპურს

სინგაპურის გრანპრი, როგორც ღამის ერთადერთი რბოლა კალენდარში, განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს. აგერ უკვე ხუთი წელია ამით დაკავებულია იტალიური კომპანია DZ Engeneering, რომლის ცენტრალური ოფისი ქალაქ ფორლიში მდებარეობს. სინგაპურის ახალი სარბოლო უქმეების წინ DZ Engeneering-ის ინჟინერმა და პროექტის ხელმძღვანელმა **რობერტო გრილიმ** ილაპარაკა ამ სამუშაოს დეტალებსა და თავისებურებებზე.

რობერტო გრილი: *"სინგაპურის გრანპრი - ეს არის დაახლოებით 2000 პროჟექტორი უძლავრესი ნათურებით, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან 7 კილომეტრი სიგრძის კაბელით და დამაგრებულია ფოლადის 247 სვეტზე. ელექტროკაბელების საერთო სიგრძე 214 კილომეტრია, ავტოდრომზეა 475 გამანაწილებელი ფარი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემა, რომლის სიგრძეა 57 კილომეტრი... ასევე უნდა ვთქვათ ტრასაზე განთავსებულ 47 კამერაზე, 530 მიკროფონზე, რომელიც ყველა საზოგადოებრივ ადგილზე მდებარეობს, 500 რადიოსადგურზე მეტი მოხალისეებთან მოლაპარაკებებისთვის. და არ უნდა დავივიწყოთ რამდენიმე ათასი ადამიანის 160 დაძაბული სამუშაო დღე.*

*სამდღიანი სარბოლო სესიისთვის მთლიანი სისტემის მონტაჟი და დემონტაჟი ნახევარ წელს იკავებს. სინამდვილეში, ეს არის მთლიანად ავტომატიზებული განათების სისტემა, რომლის მონტაჟისთვის 100 დღეა საჭირო.*

*მაისის შუაში იწყება ტრასის განათების, კამერებისა და ხმოვანი სისტემების დაყენება და ეს სამუშაო აგვისტოს შუაში დასრულებულია. მის ტესტებს დაახლოებით 10 დღე სჭირდება. ეს ძალიან დეტალური შემოწმებაა. რბოლამდე დარჩენილი დრო ეძლვნება სხვა სისტემების მოწყობას. ტექნიკის დემონტაჟი იწყება რბოლის დასრულებისთანავე და ამ პროცესს დახლოებით ერთი თვე სჭირდება. ყველა დეტალი გადის ინვენტარიზაციას, შემდეგ იქვე ინახება და მას სახელმწიფო სტრუქტურები იცავენ.*

*ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ვმუშაობთ ძალიან დინამიკური ქალაქის ცენტრში, ხოლო ქუჩებში ტრანსპორტის ჩვეულებრივი მოძრაობა არ წყდება. ტრასას ჩვეულებრივი მანქანებისთვის სარბოლო უქმეების წინ, ოთხშაბათს კეტავენ. დილაობით, ზოგიერთი ქუჩა გახსნილია, რათა მანქანებმა მაგისტრალებზე გავლა შეძლონ. გარდა ამისა, არის რამდენიმე კერძო ტერიტორია, სადაც შესვლა გარკვეულ საათებში შეიძლება. გვიწევდა მკაცრად გაწერილი გრაფიკით მუშაობა, რის გამოც ჩვენი სამუშაო დიდ დროს იკავებს.*

*სინგაპურის გრანპრის პროექტში ჩვენი კომპანიის ბევრი თანამშრომელია ჩართული. ყველამ იცის, რომ ტრასის განათებით ვართ დაკავებული, მაგრამ ჩვენი მოღვაწეობა ამით არ შემოიფარგლება. ჩვენ ასევე პასუხს ვაგებთ ამ გრანპრის ინფრასტრუქტურისთვის საჭირო სხვა ტექნოლოგიური სისტემების შექმნასა და დაყენებაზე, კერძოდ, ტელერადიოკომუნიკაციური სისტემების მონტაჟზე. მთელი ამ სისტემის მუშაობას უზრუნველყოფს 12 სადგური, რომლებსაც ტრასის გარშემო განათავსებენ. თითოეული სადგური აღჭურვილია ორი პარალელურად მომუშავე ძალისმიერი აგრეგატით (თითოს სიმძლავრე 500 კილოვატია). იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი გამოვა მწყობრიდან, მეორეს შეუძლია თავის თავზე აიღოს სრული დატვირთვა.*

*ტრასა განათებულია 1565 პროჟექტორით, თითოეული ნათურის სიმძლავრე 2000 ვატია, სამ გვირაბში კიდევ 179 პროჟექტორია დამონტაჟებული 400 ვატი სიმძლავრის ნათურით, ხოლო პადოკი განათებულია 80 პროჟექტორით. იმის გამო, რომ ისინი ტრასის ერთ მხარეს არის დაყენებული, აუცილებელია დამატებითი განათება სარეკლამო ბანერებისთვის. ამისთვის ჩვენ ვაყენებთ სპეციალურ პროჟექტორებს. ამასთან, ყურადღება აქცენტირებულია მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უნდა განათდეს - მნიშვნელოვანია შუქმა თვალი არ მოსჭრას პილოტებსა და მაყურებელს და ხელი არ შეუშალოს კამერების მუშაობას.*

*სინგაპურის მთავრობამ გამოაცხადა ტენდერი 10 ისტორიული და კულტურული ობიექტის განათებაზე, რომელმაც ტრანსლაციის დროს მაყურებლის ყურადღება უნდა მიიპყროს. ამ საკითხის მოგვარებითაც ჩვენ ვართ დაკავებული. ამ წლიდან მოყოლებული, ორ იტალიურ კომპანიასთან - Namaste-თან და Proietta-თან თანამშრომლობის წყალობით, პიტ-ბილდინგის ფასადი სხვანაირი იქნება. როგორი? ამას გრანპრის დროს იხილავთ".*


სინგაპურის ტრასა

კალათბურთი

# ტიბოდო ხარებს გაუნაწყენდა?

"ჩიკაგო ბულზის" მთავარი მწვრთნელი **ტომ ტიბოდო** აცხადებს, რომ მისი ურთიერთობა გუნდის გენერალურ მენეჯერ **გარ ფორმანთან** ნორმალურია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ზაფხულს "ხარების" რიგები დატოვა ტიბოდოს ახლო მეგობარმა და ასისტენტმა **რონ ადამსმა**.

*"ყველაფერი წესრიგშია. მე ვუთხარი ჩემს მოთამაშეებს და ხელმძღვანელობას: ჩვენ უკან არ ვიხედებით, მხოლოდ წინ ვიყურებით, ვემზადებით მომავალი სეზონისთვის. ეს არის ის, რაზეც ახლა ვფიქრობთ"*, - ამბობს ტიბოდო Chicago Sun-Times-თან კომენტარში.

მაგრამ კლუბთან დაახლოებული წყარო ირწმუნება, რომ ტიბოდოსა და ფორმანს შორის ურთიერთობა შეიძლება დაიძაბოს და ამის მიზეზი გახდება მომავალ ზაფხულში "ჩიკაგოდან" ბრიტანელი ფორვარდის **ლუოლ დენგის** სავარაუდო წასვლა. ბრიტანელის კონტრაქტს ვადა გასდის და ჯერ უცნობია, აპირებს თუ არა კლუბის ხელმძღვანელობა კალათბურთელისთვის კონტრაქტის გაგრძელებას.


ტომ ტიბოდო

*"ჰკითხეთ ტომს, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ლუოლი. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაახარებს მას ასეთი გადაწყვეტილება?"* – აცხადებს ინკოგნიტო წყარო.

ამბები

## ნეშზე ფილმი გადაიღეს

სულ მალე, მაყურებელი იხილავს სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს, რომლის სამუშაო სახელწოდებაა - "ნეში". თავადაც მიხვდებოდით, რომ ის ეხება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერან გამთამაშებელს **სტივ ნეშს**. პროექტზე უკვე დიდი ხანია მუშაობენ და ფილმის პრემიერა უახლოეს ორ თვეში შედგება.

გარდა იმისა, რომ ფილმი აგებულია თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი გამთამაშებლის ბიოგრაფიაზე, ის გაფორმებული იქნება NBA-ის სხვადასხვა ვარსკვლავის ინტერვიუებითა და **ბარაკ ობამას, სნუპ ლაიონის** (ახლო წარსულში **სნუპ დოგი), დევიდ ბექჰემისა** და სხვების კომენტარით კანადელი კალათბურთელის შესახებ.

## პოპოვიჩის ახალი ასისტენტი

"სან ანტონიო სპურსის" მთავარ მწვრთნელს **გრეგ პოპოვიჩს** ახალი ასისტენტი ჰყავს. **ბრენტ ბრაუნი** "ფილადელფიას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და მის შემცვლელად "სპურსში" **შონ მარქსი** მივიდა. ის 38 წლისაა და კარიერის განმავლობაში NBA-ის ექვს კლუბში ითამაშა, 2003-04 წლების სეზონში კი "სან ანტონიოს" რიგებში ჩემპიონი გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ალის მძლეველი გარდაიცვალა


კენ ნორტონი

სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **კენ ნორტონი**, რომელმაც 1973 წელს ლეგენდარული **მოჰამედ ალი** დაამარცხა, 70 წლის ასაკში ლას-ვეგასის გარეუბანში გარდაიცვალა. ბოლო წლებში ნორტონი კიბოთი იყო ავად, გარდა ამისა, რამდენიმე ინსულტი და გულის შეტევა გადაიტანა.

იუნიორის ასაკში ნორტონი ამერიკული ფეხბურთით, ბეისბოლით და მძლეოსნობით იყო დაკავებული, საზღვაო ფლოტში სამსახურის დროს სამოყვარულო კრივში დაიწყო გამოსვლა, 1967 წელს კი პროფესიონალებში გადავიდა.

ნორტონისა და ალის პირველი ბრძოლა 1973 წლის 31 მარტს გაიმართა. იმ ბრძოლაში ალი ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ კენმა მეტოქეს ყბა გაუტეხა და 12 რაუნდის შედეგად მსაჯების არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა.

მოგვიანებით, ნორტონი კიდევ ორჯერ შეხვდა ალის: 1973 წლის სექტემბერში (ალიმ მოიგო მსაჯების არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით) და 1976 წელს (სამივე მსაჯმა გამარჯვება ალის მიანიჭა). ასევე თავის კარიერაში ნორტონი სხვა სახელგანთქმულ მოკრივეებსაც შეხვედრია - **ჯორჯ ფორმენს, ლარი ჰოლმსს**...

1977 წელს, ნორტონმა **ჯიმი იანგი** დაამარცხა და WBC-ის ტიტულის აუცილებელი პრეტენდენტი გახდა. მაგრამ **ლეონ სფინქსმა**, რომელიც ამ ტიტულს ფლობდა, უარი თქვა ნორტონთან შეხვედრაზე ალისთან ჩხუბის გამო. WBC-მა სფინქსს ჩემპიონობა ჩამოართვა და ტიტული ნორტონს გადასცა, თუმცა კენმა მალე დათმო ის ჰოლმსთან წაგების შემდეგ.

სულ კარიერაში ნორტონმა 50 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 42 (33 – ნოკაუტით), დამარცხდა შვიდჯერ და ერთი ბრძოლა ფრედ დაასრულა. სპორტული კარიერა მან 1981 წელს დაასრულა.

ნორტონი ბევრ ფილმში გადაუღიათ მსახიობის რანგში. ყველაზე სახელგანთქმული გახდა მისი როლი ფილმში "მანდინგო" (1975 წელი). მან შეასრულა მონის როლი, რომელსაც მეპატრონე პლანტატორი ბრძოლებისთვის იყენებს.

1986 წელს ნორტონი ავტოავარიაში მოხვდა და უმძიმესი ტრავმები მიიღო, რის გამოც მეტყველების უნარი დაუქვეითდა.

# ვის აირჩევს მეივეზერი?

მექსიკელი **საულ ალვარესის** დამარცხების შემდეგ, დიდი მსჯელობა დაიწყო იმასთან დაკავშირებით, ვინ გახდება მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის, ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერის** მორიგი მოწინააღმდეგე. ამ უკანასკნელმა უკვე განაცხადა, რომ აპირებს 2014 წლის მაისში დაბრუნდეს რინგზე, შემდეგ კი სექტემბერშიც იჩხუბოს. გაზაფხულის ბოლო თვემდე ჯერ შორია, მაგრამ მეივეზერის შემდეგი მეტოქის ვინაობა ყველას აინტერესებს.

ამ მომენტისთვის ყველაზე რეალურია ორი კანდიდატი - ამერიკელი პუერტორიკოული ფესვებით **დენი გარსია**, რომელმაც მეივეზერისა და ალვარესის ბრძოლის ანდერკარდზე დაამარცხა სახიფათო არგენტინელი **ლუკას მარტინ მატისი** და მეორე კანდიდატი - პაკისტანური წარმოშობის ბრიტანელი **ამირ ხანი**, ვინც 7 დეკემბერს უნდა დაამტკიცოს, რომ ფლოიდთან შეხვედრის ღირსია – ის ამ დღეს ამერიკელ **დევონ ალექსანდერს** შეხვდება.


მეივეზერი და ალვარესი

კომპანია Golden Boy Promotions-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **რიჩარდ შეფერმა** უკვე განაცხადა, რომ მეივეზერისა და ხანის ბრძოლას შეუძლია ლონდონში, სახელგანთქმულ "უემბლიზე" 100 ათასი მაყურებელი შეკრიბოს. თავად ხანი უკვე ითხოვს მეივეზერთან შეხვედრას, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სწრაფი მოკრივეა და ეს სერიოზული კოზირი იქნება ამერიკელთან ბრძოლაში. თუმცა ბრიტანელის უახლოესი მეტოქე - დევონ ალექსანდერი ყველას არწმუნებს, რომ ხანი ვერ შეხვდება მეივეზერს, რადგან დამარცხდება 7 დეკემბრის შეხვედრაში: *"ვიცი, რომ სხვადასხვა ძალას სურს ამ ბრძოლის ორგანიზება, მაგრამ ის არ შედგება. მას შეუძლია ბევრი ბრიტანული ფული მოიზიდოს, მაგრამ ის ვერ მომიგებს. მე ბევრი ძლიერი ბიჭი დამიმარცხებია და ვაპირებ გამარჯვებების სერიის გაგრძელებას".*

რალი

# ერთი სებასტიანი მეორეს შეუტევს

მოგეხსენებათ, რომ კლასიკურ რალიში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული თითქმის გარკვეულია - მხოლოდ სასწაული თუ შეუშლის ხელი გაჩემპიონებაში "ფოლკსვაგენის" ფრანგ პილოტს **სებასტიან ოჟიეს**. მიუხედავად ამისა, ყველა მოუთმენლად ელოდება მორიგ ეტაპს - საფრანგეთის რალის. საქმე ისაა, რომ ამ რბოლაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ფრანგი **სებასტიან ლოები**. სწორედ მისი და ოჟიეს მოსალოდნელი დუელია ამ ეტაპის მთავარი ინტრიგა.


სებასტიან ოჟიე

ამასთან დაკავშირებით, "ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელმა **იოსტ კაპიტომ** განაცხადა, რომ გუნდი არ შეზღუდავს სებასტიან ოჟიეს სებასტიან ლოების წინააღმდეგ ბრძოლაში. კაპიტოს სიტყვებით, გუნდს მოუწევდა ოჟიეს ბრძოლის ჟინის მოთოკვა იმ შემთხვევაში, პილოტისა და გუნდის უპირატესობა კონკურენტებზე ასეთი დიდი რომ არ ყოფილიყო.

*"ჩვენი ლიდერობა მცირე რომ ყოფილიყო, მოგვიწევდა ოჟიესთან მკაცრი ლაპარაკი. ჩვენ სეზონის სტარტზე მოვილაპარაკეთ, რომ ჩემპიონობაზე გვექნებოდა გადატანილი აქცენტი და არა ცალკეულ ეტაპებზე ლოების დამარცხებაზე. მაგრამ ახლა კომფორტულ სიტუაციაში ვართ. მართალია, სებასტიანს ჯერ ჩემპიონობა არ აქვს განაღდებული, მაგრამ შეგვიძლია ოჟიეს რისკზე წასვლის საშუალება მივცეთ"*, - ამბობს კაპიტო.

მცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| სტ. გალენი-ყუბანი | 2:0 |
| ვალენსია-სუონსი | 0:3 |
| დინამო (ზ)-ჩერნომორეცი | 1:2 |
| ეინდჰოვენი-ლუდოგორეცი | 0:2 |
| ზალცბურგი-ელფსბორგი | 4:0 |
| სტანდარდი-ესბერგი | 1:2 |
| მარიბორი-რუბინი | 2:5 |
| ვარეგემი-უიგანი | 0:0 |
| ფიორენტინა-ფერეირა | 3:0 |
| პანდური-დნიპრო | 0:1 |
| აინტრახტი-ბორდო | 3:0 |
| მაკაბი (თ-ა)-აპოელ | 0:0 |
| დინამო (კ)-გენკი | 0:1 |
| თუნი-რაპიდი | 1:0 |
| ეშტორილი-სევილია | 1:2 |
| ფრაიბურგი-ლიბერეცი | 2:2 |
| ბეტისი-ლიონი | 0:0 |
| გიმარაეში-რიეკა | 4:0 |
| აპოლონი-ტრაბზონი | 1:2 |
| ლაციო-ლეგია | 1:0 |
| შერიფი-ანჟი | 0:0 |
| ტოტენჰემი-ტრომსიო | 3:0 |
| მაკაბი (ჰ)-ალკმაარი | 0:1 |
| პაოკ-შახტიორი (ყ) | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ალემანია-ბოხუმი II | 0:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰობრო-ვეილე | 2:1 |
| მარიენლისტი-სილკებორგი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-გაის | 3:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| 1461 ტრაბზონი-გაზიანთეფი ბბ | 1:1 |
| ბუკა-დენიზლი | 1:0 |
| სამსუნი-ადანა | 2:2 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 3:0 |
| ვესტმანაიეარი-ვალური | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| პოდბესკიძი-იაგელონია | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევრობასკეტი** | |
| სერბეთი-სლოვენია | 74:92 |
| ხორვატია-უკრაინა | 84:72 |
| ლიტვა-იტალია | 81:77 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავტომობილისტი-ავანგარდი | 4:1 |
| იუგრა-ბარისი | 2:6 |
| ცსკა-აკ ბარსი | 2:0 |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 3:2 (ბ) |
| ლევი-ტორპედო | 4:3 (ბ) |
| სლოვანი-ვიტიაზი | 1:4 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ჰერნინგი | 5:0 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-ლორენსკოგი | 1:4 |
| სტავანგერი-სტიორნენი | 7:2 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 3:4 |
| ტიონსბერგი-ფრისკ ასკერი | 2:4 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 5:4 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ლუკო | 2:1 |
| იოკერიტი-კერპეტი | 2:3 (ბ) |
| ტპს-პელიკანსი | 2:3 |
| ჰიფკ-ესეტი | 5:3 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-ჰვ71 | 3:4 (ო) |
| ლეკსანდი-მოდო | 3:2 (ბ) |
| ლულეა-ვექსიო | 4:1 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 1:3 |
| შელეფტეო-ორებრო | 3:4 (ბ) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მეცი** | |
| მაუ-სეპი | 6:4, 6:4 |
| ლაჩკო-ფ. მაიერი | 3:6, 2:6 |
| ბეკერი-ოლივეტი | 6:7, 6:3, 6:1 |
| დე სხეპერი-სიმონი | 2:6, 3:6 |
| კოლშრაიბერი-ბერლოკი | 7:6, 6:7, 1:6 |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| ხაჩანოვი-როსოლი | 4:6, 4:6 |
| სტახოვსკი-სოუზა | 6:3, 4:6, 0:6 |
| პრსიეჟნი-ფონინი | 6:3, 5:3 უარი |
| კრავჩუკი-ტურსუნოვი | 3:6, 0:6 |
| ზოპი-გულბისი | 3:6, 6:1, 3:6 |
| ბაუტისტა აგუტი-დონსკოი | 2:6, 6:1, 7:6 |
| **WTA. გუანგჯოუ** | |
| კინგი-პუიგი | 1:6, 7:5, 7:6 |
| ჟანგი-კონტა | 7:5, 6:3 |
| მოისბურგერი-კორნე | 6:4, 6:1 |
| რობსონი-ჟ. ჟენგი | 6:1, 6:7, 2:6 |
| **WTA. სეული** | |
| ჟანგი-ჟაბორი | 1:6, 6:4, 6:1 |
| ა. რადვანსკა-კაბესა კანდელა | 6:2, 6:1 |
| დატე-კირილენკო | 6:3, 6:1 |

TV პროგრამა

**20 სექტემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ვალენსია - სუონსი
**12:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფიორენტინა - ფერეირა
**14:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ლაციო - ლეგია
**16:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბეტისი - ლიონი
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მარსელი-არსენალი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. ბორუსია (მ)-ბრაუნშვაიგი (LIVE).
**00:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მილანი-სელტიკი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ).
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლეიკერსი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მაიამი. აშშ.
**17:10** რაგბი. ოთხი ერი თასი. არგენტინა-სამხრეთ აფრიკა.
**19:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 1987-88 წლები.
**20:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ცვოლე.
**22:00** საავტომობილო სპორტი. რალი-კროსი. ავსტრია. მიმოხილვა.
**23:00** NBA ACTION.
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლეიკერსი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 30 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 32 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 20 | 29 | (მზე) |
| ფოთი | 17 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 30 | (მზე) |
| გორი | 12 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 15 | 30 | (მზე) |
| სიღნაღი | 14 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 8 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 14 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 9 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2452 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6625 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2439 |

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**12:20** სპორტ-NEWS.
**12:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**17:40** სპორტ-NEWS.
**18:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.

ამბები

ჩოგბურთი

## ფედერერს უაილდ-ქარდი შეუნახეს

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ATP-ის ტურნირის ორგანიზატორებმა ერთი უაილდ-ქარდი შეუნახეს **როჯერ ფედერერს**. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ შვეიცარიელ ჩოგბურთელს ლონდონში წლის შემაჯამებელ ტურნირში მოსახვედრად საჭირო ქულების დაგროვება დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი ავსტრიის დედაქალაქში 14 ოქტომბერს დაიწყება, წლის დასკვნითი ტურნირის სტარტი კი 4 ნოემბერს არის დაგეგმილი. შემაჯამებელ ჩემპიონატში თამაში უკვე გაინაღდეს ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და ბრიტანელმა **ენდი მარეიმ**. რაც შეეხება ფედერერს, ის ე.წ. "ლონდონისთვის რბოლაში" მეშვიდე პოზიციაზე იმყოფება. ლონდონში სათამაშოდ ამ რეიტინგის პირველი რვა ჩოგბურთელი ჩავა.

## სერენა ტოკიოდან მოიხსნა

ქალებს შორის მსოფლიოს რეიტინგის ლიდერმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** უარი თქვა ტოკიოს ტურნირში მონაწილეობაზე. ამის მიზეზად ჩოგბურთელმა დაღლილობა დაასახელა.

*"იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ ვერ შევძლებ ტოკიოს ტურნირზე გამოსვლას, არადა, ამ მოვლენას წლის დასაწყისიდან ველოდი. სამწუხაროდ, ამ ზაფხულს ჩატარებული ბევრი მატჩის გამო მეტი დრო მჭირდება აღდგენისთვის"*, - განაცხადა უმცროსმა უილიამსმა.

უფრო ადრე გახდა ცნობილი, რომ ტოკიოს ტურნირს, რომელიც 22-28 სექტემბერს გაიმართება, მსოფლიოს მესამე ჩოგანი, რუსი **მარია შარაპოვაც** დააკლდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

europe-bet.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველად, 1995 წლის შემდეგ...

ევრობასკეტზე დასრულდა პლეი ოფის პირველი ნაწილი - მეოთხედფინალური ეტაპი და გავიგეთ დღევანდელი ნახევარფინალური წყვილები.

გუშინ, ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ხორვატიამ, რომელმაც უპრობლემოდ დაამარცხა უკრაინა და 1995 წლის შემდეგ პირველად მოხვდა კონტინენტის პირველობის ოთხ საუკეთესო გუნდში. ლიტვია ნაკრებმა კი მხოლოდ მეოთხე მეოთხედში გატეხა იტალიელთა წინააღმდეგობა...

ცნობისთვის, ოთხივე ნახევარფინალისტმა მოიპოვა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საგზური, აგრეთვე 2015 წლის ევრობასკეტზე კვალიფიკაციის გარეშე თამაშის უფლება გაინაღდა.

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ხორვატია | 84 |
| 22:22, 29:13, 19:26, 14:11 | |
| უკრაინა | 72 |

ხ: სიმონი (23), ბოგდანოვიჩი (14), მარკოტა (12).
უ: ჯეტერი (19+6 მოხსნა+6 პასი), კრავცოვი (15+3 დაფარება), გლადირი (13+9 მოხსნა).
**ორქულიანები:** 17/34 (50%) - 23/38 (60,5%)
**სამქულიანები:** 10/23 (43,5%) - 3/22 (13,6%)
**საჯარიმოები:** 20/28 (71,4%) - 17/25 (68%)
**მოხსნები:** 30-39. **პასები:** 22-12. **შეცდომები:** 9-17

**გადამწყვეტი მომენტი:** ხორვატია მეორე მეოთხედის მეორე წუთზე სამი ქულით აგებდა - 25:28, მაგრამ ხორვატთა რეზერვმა შესანიშნავი დაცვა დააყენა და 19:1 გაქცევა მოაწყო - დიდ შესვენებამდე 2 წუთითა და 40 წამით ადრე ანგარიში 44:29 იყო ხორვატიის სასარგებლოდ. ამ 19 ქულიდან 11 მან უკრაინელთა შეცდომებით დააგროვა.

**მატჩის გმირი: კრუნოსლავ სიმონი** იმსახურებს მატჩის გმირის სტატუსს, რადგან თავისი პირველი შვიდი სამქულიანიდან ხუთი მოათავსა კალათში და ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო - 23 ქულა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** უკრაინა ყველა მეოთხედფინალისტს შორის ყველაზე მეტ სამქულიანს ისვრის - საშუალოდ 25 მატჩში. მან ამჯერადაც შორეული ტყორცნების ტაქტიკას მიმართა, მაგრამ ვერ იხეირა - 22-დან მხოლოდ სამი ზუსტი სამქულიანი ჰქონდა.

| | |
|---|---|
| ლიტვა | 81 |
| 22:15, 18:24, 17:19, 24:19 | |
| იტალია | 77 |

ლ: კალნიეტისი (17+7 მოხსნა+5 მოხსნა), სეიბუტისი (17+6 მოხსნა), მაჩიულისი (13+5 პასი), პოჩიუსი (11).
ი: ბელინელი (22), ჯენტილე (15), ჩინჩარინი (11), დატომე (10).
**ორქულიანები:** 25/42 (59.5%) - 23/47 (48.9%)
**სამქულიანები:** 5/14 (35.7%) - 6/18 (33.3%)
**საჯარიმოები:** 16/20 (80.0%) - 13/17 (76.5%)
**მოხსნები:** 38-25. **პასები:** 14-9. **შეცდომები:** 19-12.

**გადამწყვეტი მომენტი:** ბოლო მეოთხედის წინ, ლიტვის ნაკრები ერთი ქულით იყო ჩამორჩენილი - 57:58. ბოლო 10-წუთეულის საწყისი ექვსი წუთი ბალტიისპირელებმა ბრწყინვალე დაცვა ითამაშეს - ამ დროს განმავლობაში იტალიამ ვერც ერთი (!) ქულა ვერ აიღო, ლიტვა კი 15:0 გაიქცა და დიდი მცდელობის მიუხედავად, აპენინელებმა თამაშის ბედის შემოტრიალება ვერ შეძლეს.

**მატჩის გმირი: მანტას კალნიეტისმა** 17 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი დააგროვა. ამ კალათბურთელმა ფანტასტიკური სიზუსტით ისროლა თამაშიდან - 12 ტყორცნა, აქედან რვა ზუსტი.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ლიტვამ ბევრს სათამაშო კომპონენტში აჯობა მეტოქეს, მაგალითად, მოხსნებში დაჩაგრა იტალია - 39:25. ლიტველთა გამარჯვება ასევე განაპირობა თამაშიდან ტყორცნების სიზუსტის 54-მა პროცენტმა.

**1/2 ფინალი**
**20 სექტემბერი**
19:45 ხორვატია-ლიტვა
23:00 ესპანეთი-საფრანგეთი



ლიტვა-იტალია. შეტევაში ლინას კლეიზა


ნიჰად ჯედოვიჩი

# ევრობასკეტზე, ნასესხები ფულით

ბოსნიის საკალათბურთო კავშირს ფულის სესხება დასჭირდა სლოვენიაში ევრობასკეტზე გასამგზავრებლად. ორგანიზაციას საჭირო თანხა მეგობრებმა და ნაკრების წევრმა **ნიჰად ჯედოვიჩმა** ასესხეს.

კავშირის გენერალური მდივნის **ჰარუნ მაჰმუტოვიჩის** თქმით, მიუნხენის „ბაიერნის" მოთამაშე პატიოსან სიტყვაზე ენდო ქვეყნის მთავარი საკალათბურთო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას და 5 ათასი ევრო გაიმეტა, ასეთივე თანხა იშოვნა ნაკრების დირექტორმა **იგორ სტოიანოვიჩმა**, თავად მაჰმუტოვიჩმა კი მეგობარს 10 ათასი ევრო გამოართვა.

*„იძულებული ვიყავით ფული გვესესხა, რადგან ჩვენმა მთავრობამ სლოვენიაში ნაკრების გამოსასვლელად ერთი დიდი ნული გაიმეტა"*, - ამბობს კავშირის ფუნქციონერი.

მაჰმუტოვიჩის სიტყვებით, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **აცო პეტროვიჩი** ამ პოსტზე ორი წელია უფასოდ მუშაობს და მხოლოდ ერთხელ მიიღო 15 ათასი ევრო გუნდის ევროპის ჩემპიონატზე გაყვანისთვის.

შეგახსენებთ, რომ ბოსნიის ნაკრები ევრობასკეტს პირველი ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშა.

# ფორმატი შეიცვლება?

არ არის გამორიცხული, FIBA-ევროპამ შეცვალოს ევრობასკეტის ჩატარების ფორმატი. ტურნირის ახალი მოდელი, რომელიც შეიძლება ძალაში 2015 წელს შევიდეს, მხოლოდ ერთი ჯგუფური ეტაპის გამართვას ითვალისწინებს.

ამგვარი ცვლილების მიზეზი შეიძლება გახდეს ამჟამინდელი ტურნირის დიდი ხანგრძლივობა, აგრეთვე ვარაუდი იმისა, რომ ზოგიერთი გუნდი შეგნებულად აგებს მატჩებს მეორე ეტაპზე, რათა პლეი ოფში უფრო მოხერხებული მეტოქე ერგოს.

ვარადობენ, რომ ახალი ფორმატის მიხედვით შენარჩუნდება მონაწილეთა დღევანდელი რიცხვი - 24, მაგრამ მეორე ჯგუფური ეტაპის ნაცვლად, პირველი რაუნდის დასრულებისთანავე დაიწყება მატჩები გავარდნაზე. ასე რომ, პლეი ოფის სტადია მერვედფინალური შეხვედრებიდან აიღებს სტარტს.

**15 საუკეთესო**

ინტერნეტ-რესურსმა HoopsHype-მა საინტერესო აქცია მოაწყო ევრობასკეტის მსვლელობის დროს. მან გამოკითხა ევროპის ჩემპიონატის მონაწილე მოთამაშეები, რომლებმაც, საბოლოოდ, გამოავლინეს ყველა დროის ევროპის 15 საუკეთესო კალათბურთელი.

**გამოკითხვის შედეგები**

1. დრაჟენ პეტროვიჩი
2. ტონი პარკერი
3. არვიდას საბონისი
4. დეიან ბოდიროგა
5. დირკ ნოვიცკი
6. პაუ გასოლი
7. ტონი კუკოჩი
8. პრედრაგ დანილოვიჩი
9. ხუან კარლოს ნავარო
10. ანდრეი კირილენკო
11. დიმიტრის დიამანტიდისი
12. მარკ გასოლი
13. ალექსანდრ ჯორჯევიჩი
14. ალექსანდრ ვოლკოვი
15. დინო რაჯა

● ჩოგბურთი

# მარეის წელს ვერ ვნახავთ?

გაზეთ Daily Mail-ის ჟურნალისტმა **მაიკ დიქსონმა** გამოაცხადა, რომ ბრიტანელი **ენდი მარეი** ოპერაციის გაკეთებას აპირებს და ამის შემდეგ, აღდგენითი პროცესი მთელს დარჩენილ სეზონს დაიკავებს. ასე რომ, სავარაუდოდ, მარეის ამ სეზონში კორტზე ველარ ვიხილავთ.


ენდი მარეი

ამ კვირას, 26 წლის ჩოგბურთელმა გადაწყვიტა მოაგვაროს ხერხემლის პრობლემები, რის გამოც ხშირად გრძნობს ტკივილებს ბარძაყის არეში, განსაკუთრებით ჰარდზე თამაშისას. ზურგი მარეის ბოლო წელიწადნახევარია აწუხებს და ამის გამო, წელს რომის მასტერსი და როლან გაროსი გამოტოვა.

ამ სეზონის დარჩენილ ნაწილში ენდის ხუთ ტურნირში უნდა მიელო მონაწილეობა - სამი აზიაში, პარიზის მასტერსი და ATP-ის შემაჯამებელი ჩემპიონატი ლონდონში, მაგრამ 2013 წელს მარეის კორტზე დაბრუნება ნაკლებად სავარაუდოა.

*„მარეის სურს მოაგვაროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. სავარაუდოდ, ის კორტზე მომავალი სეზონის სტარტზე დაბრუნდება. მისი მონაწილეობა ATP-ის შემაჯამებელ ტურნირში საეჭვოა, მაგრამ შესაძლებელი"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" დიქსონმა.

მიმდინარე სეზონში ენდიმ მოიგო უიმბლდონი და ავსტრალიის ღიას ფინალამდე მიაღწია.

● ოლიმპიზმი

# შოტლანდიას ცალკე უნდა

შოტლანდიის სპორტის მინისტრმა **შონ რობინსონმა** ოთხშაბათს განაცხადა, რომ 2014 წელს გასამართი რეფერენდუმის შემდეგ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში, შოტლანდია, შესაძლოა, ცალკე ქვეყნად წარსდგეს 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე.

რობინსონის სიტყვებით, შოტლანდია შეიძლება შეესაბამებოდეს ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის საჭირო კრიტერიუმებს. კერძოდ, ახალ სახელმწიფოს ექნება განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა, გარდა ამისა, შოტლანდიის მინიმუმ ხუთი სპორტული ფედერაცია შედის საერთაშორისო ფედერაციების შემადგენლობაში.

დღეისთვის, შოტლანდიელი სპორტსმენები ბრიტანეთის სახელით გამოდიან. ჩოგბურთელმა **ენდი მარეიმ** და ველომრბოლმა **კრის ჰოიმ** 2012 წლის ლონდონის თამაშებზე ბრიტანეთისთვის მედლების 18 პროცენტი მოიგეს.

შოტლანდია ბრიტანეთის ნაწილიაა 1707 წლიდან. გაერთიანებული სადედოფლოსგან დამოუკიდებლობის მიღების საკითხთან დაკავშირებული რეფერენდუმი 2014 წლის სექტემბერში გაიმართება.

გამოკითხვების შედეგად, შოტლანდიის მოსახლეობის უმრავლესობა სადედოფლოს ამ ნაწილის ბრიტანეთის შემადგენლობაში შენარჩუნებით გამოდის, მაგრამ მათი უპირატესობა დამოუკიდებლობის მსურველებზე უმნიშვნელოა.

ამასთან, ბრიტანეთის სამი უმსხვილესი პარტია შოტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდის.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია